ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი | ოთხშაბათი 4 თებერვალი 2004 №23 (2042) | ფასი 50 თეთრი





## მტყვიან და ჩავა ლეგიონერი კვიპროსის ტურნირზე, მაგრამ... ლევან კობიაშვილი: რა აზრი აქვს უმწვრთნელო ნაკრებით თამაშს?

ინტერვიუ ლევან კობიაშვილთან იხილეთ მეორე გვერდზე

## ნაცნობი გემო
### შეანელე რაგბი ქართულად

მსოფლიოს თასი უკან დარჩა, დღევანდელი დღე კი კარსმომდგარი ერთა თასისთვის მზადებას ითხოვს. პირველი მეტოქე პორტუგალიაა და მას ახალი ბორჯღალოსნები შუა თებერვალში თბილისში დაუხვდებიან. ნაკრებს ჯერ არ დაუწყია სრულფასოვანი მზადება, ვინაიდან მსოფლიოს თასის შემდეგ ჯერ არც შეკრებილა. კლოდ სორელის ქართველი მემკვიდრეები ჯერჯერობით საქართველოში მობურთალ 30-იოდ ბიჭს ავარჯიშებენ. ამ კრებულს მალე დაემატება 10-იოდ „ფრანგი" ლეგიონერი და პორტუგალიის დამხვდური ნაკრებიც მერე შეირჩევა.

დასამალი რაა, პრობლემა ბევრია. ამას არც მალავს ნაკრების ერთ-ერთი მწვრთნელი მალხაზ ჭეიშვილი — „დროის სიმცირის გამო საამმატჩოდ სრული მობილიზება ვერ ესწრება. სიმართლე გითხრათ, რაც გვინდა, ბიჭები იმას ჯერ მთლიანად ვერ ახერხებენ."

...პორტუგალია კი ერთა თასის მფლობელის რანგში მოდის...

ინტერვიუ მალხაზ ჭეიშვილთან იხილეთ მეცამეტე გვერდზე









## ტრანსფერზე! მარკო მატერაცის ფა-ქეტი მოხვდა

მარკო მატერაცი იტალიის ფეხბურთის ფედერაციამაც დასაჯა და საკუთარმა კლუბმაც. ფედერალებმა „ინტერის" მოჩხუბარ მცველს ორთვიანი დისკვალიფიკაცია გამოუწერეს, კლუბი კი 5 000 ევროთი დააჯარიმეს, მაგრამ არ ცხრება „ინტერის" პრეზიდენტი ჯაჩინტო ფაკეტი, რომელსაც ფეხბურთელის ტრანსფერზე დაყენება განუზრახავს. მატერაცის ნავაჟკაცარი გუშინ მთელმა იტალიამ სახელმწიფო ტელევიზიით იხილა — „სიენას" ტუჩმითეთქვილი მცველი ბრუნო ჩირილო მთელ ქვეყანას აჩვენებდა, აი, ნახეთ, აქ მომხვდა მატერაცის ხელიო.

## ბაზარი არ არის, კარგი ბაზარია!



თბილისის დინამო ლამაზი ქალია: ყველა მიაჩერდა. მოსკოვის ლოკომოტივიც

ინტერვიუ ბორის იგნატიევთან იხილეთ მეოთხე გვერდზე

# მოდით, გავარკვიოთ მიზანი: მოვალეობის მოხდა თუ ნაღდი საქმე?

## რა აზრი აქვს უმწვრთნელო ნაკრებით თამაშს? კითხულობს ლევან კობიაშვილი

*ლევან კობიაშვილმა და მისმა „შალკემ" რიხით დაიწყეს ბუნდესლიგის მეორე წრე. პირველსავე მატჩში კობიაშვილის გუნდმა სტუმრად „დორტმუნდი" წააქცია, ჩვენიანი კი მოედანზე ერთ-ერთი საუკეთესო იყო. სწორედ მასთან უხეშობისთვის გააძევეს მასპინძელთა ლიდერი როსიცკი და ამის შემდეგ „შალკესაც" ხელ-ფეხი უფრო მეტად გაეხსნა*

დორტმუნდული სამი ქულა, რა თქმა უნდა, „შალკეს" სატურნირო მდგომარეობაზეც აისახა. გუნდი ახლა მეექვსეა, შემოდგომაზე წარუმატებელი თამაშის შემდეგ, ჩანს, ძალ-ღონეს იკრებს და ლიდერებს უახლოვდება.

— ჩემპიონთა ლიგაში გამსვლელ ადგილზე, ვფიქრობ, ლაპარაკი ზედმეტია. ბუნდესლიგაში ოთხი გუნდი უკვე საკმაოდ დაწინაურდა და მათთან გათანაბრება ძალიან ძნელი იქნება — გვითხრა ლევან კობიაშვილმა — „შალკე" წლეულს უეფას თასის საგზურის მოპოვებითაც კმაყოფილი დარჩება, საგაისოდ კი სერიოზული გეგმები გვაქვს.

— „დორტმუნდთან" ისე დამაჯერებლად ითამაშეთ, უეფას საგზურის მოპოვება არ უნდა გაგიჭირდეთ.

— კი, მაგრამ ერთი თამაშით გუნდის რეალური ძალა არ განისაზღვრება. პირველ წრეშიც ერთ მატჩს უმაღლეს დონეზე ჩავატარებდით, მერე კი ისე ვთამაშობდით, ჩვენი თავი გვრცხვენოდა. „დორტმუნდს" რომ მოვუგეთ, რა თქმა უნდა, ძალიან კარგია, თუმცა უკეთესი ის იქნება, შაბათს „მიუნხენსაც" თუ ვაჯობებთ. მერე უკვე მეტად თავდაჯერებულები ვიქნებით და მიზნის მიღწევაც შედარებით გაგვიიოლდება.

— გამოდის, „მიუნხენთან" მატჩი თქვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია.

— შეიძლება ასეც ითქვას, თუმცა ბუნდესლიგის დამთავრებამდე ჯერ შორია, 16 თამაში კიდევ წინაა. „მიუნხენთან" მოგება ჩვენ უფრო ფსიქოლოგიური თვალსაზრისით წაგვადგება.

— „დორტმუნდთან" შეხვედრაზე რას იტყვი?

— მგონია, რომ დამსახურებულად მოვიგეთ. კი, „დორტმუნდს" ორი ნაღდი საგოლე შანსი ჰქონდა, ორივე პენალტით, მაგრამ მთლიანობაში ჩვენ ვაჯობეთ. ცოტა გაგვიმართლა კიდეც, მასპინძლებს ის პენალტები რომ გამოეყენებინათ, ვინ იცის, მატჩი როგორ დამთავრდებოდა.

— შენი თამაშით კმაყოფილი უნდა იყო.

— ის უფრო მთავარია, რომ ჯანმრთელად ვარ. „დორტმუნდთან" კი ურიგოდ, მგონი, მართლა არ მითამაშია.

— პირველი წრის შემდეგ „შალკე" „ვერდერის" ორი ფეხბურთელით, აილტონითა და კრსტაიჩით უნდა გაძლიერებულიყო, თუმცა ესენი ისევ „ვერდერში" თამაშობენ. ჩაიშალა ტრანსფერი?

— არა, ისინი და „შტუტგარტის" მცველი ბორდონი ახალი სეზონიდან შემოგვიერთდებიან. არადა, ჩვენ ვიცოდით, რომ აილტონი ამ შესვენებაზე უნდა გადმოსულიყო „შალკეში". ეტყობა, კლუბები ასე შეთანხმდნენ. დღევანდელი „ვერდერი" უაილტონოდ წარმოუდგენელია.

— ახალი სეზონისთვის რა გეგმები გაქვთ?

— რა ვიცი, გუნდში იმდენი ფეხბურთელი უნდა მოვიდეს, ბუნდესლიგით დაწყებული, საერთაშორისო სარბიელით დამთავრებული, რაც მოსაგები იქნება, ყველაფერი უნდა მოვიგოთ.

— წლევანდელ ბუნდესლიგას რომელი გუნდი მოიგებს?

— ალბათ „ვერდერი", ყოველ შემთხვევაში, ყველაზე კარგ ფეხბურთს ეს გუნდი თამაშობს და პირველი წრის შემდეგ პირველობას იმსახურებს. მაგრამ ვინ იცის, აწი რა მოხდება, „ბაიერნი", „შტუტგარტი" და „ლევერკუზენი" ბრემენელებს კუდში მიჰყვებიან. „ვერდერმა" ერთი რომ წაიფორხილოს, დაკარგულის ანაზღაურება ძალიან გაუჭირდება. თუმცა ასე თუ გააგრძელებს, ვეჭვობ, პირველობაში ვინმე შეეცილოს.

— კვიპროსის ტურნირზე სათამაშოდ ნაკრებიდან გამოძახება უკვე მიიღე?

— კი, მივიღე, მაგრამ ჯერ არ ვიცი, ვითამაშებ კვიპროსზე თუ არა. საქმე ისაა, რომ „შალკეს" ხელმძღვანელობამ მთხოვა კლუბში დარჩენა, სწორედ იმ პერიოდში „ვერდერთან" მნიშვნელოვანი მატჩი გველის და იმიტომ. საბოლოო პასუხი უფროსობისთვის ჯერ არ მითქვამს, ეს საქმე კლუბმა და ფედერაციამ გაარკვიონ. თუ აუცილებელი იქნება ნაკრებში ჩემი ყოფნა, რა თქმა უნდა, სხვებთან ერთად კვიპროსზე მეც ვიქნები.

— ნაკრების წევრი თითქმის ყველა ლეგიონერი ასე ამბობს და გამოდის, ეროვნულმა გუნდმა კვიპროსზე მხოლოდ „დინამოს" ფეხბურთელებით უნდა ითამაშოს. არადა, 18 თებერვალი, როცა რუმინეთთან მატჩია დაგეგმილი, ამხანაგური მატჩებისთვის უეფას დღეა.

— გასაგებია, მაგრამ ეროვნულ გუნდში თამაში მხოლოდ მოვალეობის მოხდის მიზნით თუ არის აუცილებელი, ესეც ვთქვათ. ნაკრებს მწვრთნელი არ ჰყავს. ვინ უნდა გვათამაშოს, არც ეს ვიცი. თუმცა, თუ ფედერაცია საჭიროდ ჩათვლის, რომ კვიპროსზე ჩემი თამაში აუცილებელია, უსიტყვოდ, მე იქ ვიქნები.

**ქოგა ინასარიძე**




ლევან კობიაშვილს „დორტმუნდთან" თავი მართლაც არ დაუზოგავს

*კიევის „დინამომ" ბორისპოლის აეროპორტიდან გეზი ესპანეთისკენ აიღო. ვალენსიიდან ავტობუსით 40 კილომეტრი გაიარეს და პატარა ქალაქ ოლივიაში დაბანაკდნენ. კიეველებმა 27 ფეხბურთელი იახლეს, მათ შორის ამისულაშვილი და ბურდული. ათ ფეხბურთელს კიევში მოუხდა დარჩენა. ხაცკევიჩი, ნესმაჩნი, ფეოდოროვი, რობერტო ნანი, ელ კადური, ხუჯამოვი, იუსუფი ტრავმირებულნი არიან, მილევსკი და ალიევი კი უკრაინის ახალგაზრდულ ნაკრებში გამოიძახეს.*

*გუშინ ქართველ ფეხბურთელებს ოლივიაში შევეხმიანეთ*



ალეკო ამისულაშვილი ნამდვილი კიევური ვარჯიშების მოლოდინშია

# ესპანეთში სამოთხეა, სამოთხეში ქართველები

## ბურდულმა ოგნიენოვიჩის და პეევის კონკურენციას უნდა გაუძლოს

**ალეკო ამისულაშვილი:** „ესპანეთში საუცხოო ამინდია. კიევისგან განსხვავებით, აქ, რა თქმა უნდა, ძალიან თბილა, დაახლოებით 18-20 გრადუსი იქნება. მგზავრობა საკმაოდ დამღლელი აღმოჩნდა. ამიტომ საღამოს მსუბუქად წავივარჯიშებთ, ხვალიდან კი ნამდვილი კიევური ვარჯიშები დაიწყება. როგორც ვიცი, გარკვეულია ჩვენი სპარინგ-პარტნიორების ვინაობაც, მაგრამ ჯერ ჩვენ არ გვეუბნებიან. ალბათ, ორ-სამ დღეში ვითამაშებთ".

**ლადო ბურდული:** „ესპანეთში ადრეც ვარ ნამყოფი, მაგრამ ვალენსიისკენ არა. ძალიან ლამაზი ადგილია და მშვენიერი სავარჯიშო პირობებიც დაგვხვდა. ადრე ასეთ შეკრებაზე არასოდეს ვყოფილვარ. რაც შეეხება ჩემს კონტრაქტს, ყველაფერი უახლოეს დღეებში გაირკვევა. ის კი ნამდვილად ვიცი, რომ ესპანეთში გუნდთან ერთად ბოლომდე დატვირთვა მომიწევს. ჩემს პოზიციაზე საკმაოდ დიდი კონკურენციაა. მარტო ბულგარელი პეევისა და სერბი ოგნიენოვიჩის დასახელებაც კმარა."

კიეველები ესპანეთში 14 თებერვლამდე დარჩებიან. მერე, ერთი კვირის განმავლობაში „კონჩა ზასპას" ბაზაზე მოემზადებიან და 21 თებერვლიდან ისევ ესპანეთში, ამჯერად 12-დღიან შეკრებაზე გაემგზავრებიან.

**დავით ერაძე**

# თეთრი, თეთრი...

## დინამოში ერთი ბრაზილიელი უკვე მივიდა, მეორეს დღეს ელიან

**კვიპროსულ** აიანაპაში შეკრებილ თბილისის „დინამოს" გუშინ საღამოს ბრაზილიელი სეზარ ხომერო შეუერთდა. ის ცენტრალური ნახევარმცველია და „დინამოში" ბრაზილიური „პარანადან" მივიდა. თეთრკანიან, 181-სანტიმეტრიან და 77-კილოგრამიან სამხრეთამერიკელს წინა სეზონში 32 მატჩი უთამაშია და 7 გოლიც გაუტანია.

დინამოელები ბრაზილიელს საქმეში დღეს ნახავენ. ნამგზავრს გუშინ ოდენ ტრენაჟორებზე ვარჯიში აკმარეს. დღეს „დინამო" ჩეხურ „ბრნოს" ეთამაშება. ეს მატჩი თბილისის დროით 17 საათზე დაიწყება.

ცნობილი გახდა დინამოელთა მესამე მეტოქის ვინაობაც, „ბრნოსა" და „ლეგიას" მერე, 10 თებერვალს თბილისელები სერბულ „სარტიდს" შეხვდებიან. ეს კლუბი შარშან უეფას თასის მონაწილეც გახლდათ.

ერთ-ერთი ვარჯიშისას მსუბუქი ტრავმა მიიღო გიორგი ნემსაძემ. ექიმების თქმით, სერიოზული არაფერია. გუშინ ნემსაძემ მხოლოდ ტრენაჟორების დარბაზში ივარჯიშა და ჯერაც არ გადაწყვეტილა, ითამაშებს თუ არა ჩეხურ კლუბთან ისევე, როგორც ბრაზილიელი ხომერო. მეორე ბრაზილიელი დინამოელებს ალბათ დღეს შეუერთდება.

**დავით ერაძე**

### ინგლისი

III დივიზიონი. გადადებული მატჩი

**ნორთჰემპტონი 2:0 იოვილი**

კონფერენსლიგა გადადებული მატჩი

**სკარბორო 3:3 ჰერეფორდი**

ასოციაციის თასი 1/16 ფინალი. გადათამაშება

**კოლჩესტერი 3:1 ძოვენთრი**

ლიგის თასი 1/2 ფინალი. საპასუხო მატჩი

**მიდლსბრო 2:1 არსენალი (1:0)**

### შოტლანდია

ლიგის თასი. 1/2 ფინალი

**დანდი 0:1 ლივინგსტონი**

### ბელგია

თასის 1/4 ფინალი. I მატჩი

**ბრიუგე 2:0 ლუვიე**

### ჰოლანდია

II დივიზიონი გადადებული მატჩი

**ვენლო 1:0 ოსი**

ამსტელის თასი 1/4 ფინალი

**სპარტა 3:2 პენ. (0:0) ნაიმეგენი**

### ამხანაგური მატჩი

**ჩინეთი 2:1 ფინეთი**

### საფრანგეთი

ლიგის თასი. 1/2 ფინალი

**ნანტი 5:4 პენ. (0:0) ოსერი**

### პორტუგალია

სუპერლიგა. XX ტური

**ბენფიკა 2:0 აკადემიკა**

### გერმანია

თასის 1/4 ფინალი

**მიონხენგლადბახი 4:3 პენ. (2:2) დუისბურგი**

**ჰოფენჰაიმი 0:1 ლიუბეკი**

**ფიურტი 2:3 ვერდერი**

# რომელი შვიდი ჯობია შვიდს? შოთამ ლარსონს ლიგურად მოუგო

*გლაზგოურმა გაზეთმა „ივნინგ თაიმზმა“ გამოაქვეყნა პოლემიკური წერილი — შვედი ჰენრიკ ლარსონი უფრო მაგარია თუ შოთა არველაძე.*

*შოთამ საამსეზონოდ რეინჯერსული ნომერი შეიცვალა — 24-ს შვიდიანი ანაცვალა და თქვა, ეს იმიტომ გავაკეთე, რომ „ტრაბზონსფორშიც“ მეშვიდე ნომერი ვიყავიო.*

*თუმც, ვინძლო არველაძისთვის ეს თავისებური გამოწვევაც იყოს — სელტიკელი ჰენრიკ ლარსონიც ხომ შვიდი ნომერია.*

*ჩვენი მხრივ, სრულიად უპოლემიკოდ შეგვიძლია იმის თქმა, რომ შოტლანდიურ პრემიერლიგაში საუკეთესო ფეხბურთელებად სწორედ ლარსონი და შოთა ითვლებიან*




„ივნინგ თაიმზის“ სათაურში კი წერია, რომ შესანიშნავი შვიდიანების ბრძოლაში შოთა უგებს ლარსონს, თუმც სტატისტიკას რალაც-რალაცეების შეცვლა შეუძლია.

მოკლედ, „ივნინგ თაიმზი“ ფეხბურთის ისტორიისა და სტატისტიკის საერთაშორისო ფედერაციის მონაცემებს აქვეყნებს, საიდანაც ვგებულობთ, რომ მსოფლიოს უმაღლესი ლიგების ფორვარდებში არველაძეს მეათე პოზიცია უკავია, ხოლო ლარსონს მეცამეტე. ცხადია, სასიამოვნო ფაქტია, რომ ქართველი მსოფლიოს ათ საუკეთესო მეგოლეს შორისაა კონკრეტულ რეიტინგში.

მაგრამ გლაზგოური გაზეთი სტატისტიკის მიღმაც წავიდა და თავისებურად დაახასიათა „სელტიკისა“ და „რეინჯერსის“ შვიდიანები — შოთას იმას უქებენ, რომ არაორდინალური ტიპის ფორვარდია და მისი ქმედებანი მცველთათვის რთული წასაკითხია, ხოლო ლარსონზე წერენ, ძალიან ენერგიულია და ტვინი სულ მაზვილად უჭრისო. „ივნინგ თაიმზი“ იმასაც დასძენს, რომ არველაძე ლარსონზე უკეთესი ფეხბურთელი არ არის, მაგრამ არც იმას ამბობს, რომ ლარსონია მასზე მაგარი. თუმც, გლაზგოურ გაზეთს არც ის გამორჩენია, რომ შვედი ქართველზე გაცილებით უფრო ხშირად ასრულებს პენალტებს და არცთუ ცოტა გოლი ამითაც მიითვალა.

ისიც ვთქვათ, რომ არველაძეს წლეულს 31 წელი უსრულდება, ლარსონს კი 33. სამართალს პურს იმითაც ვაჭმევთ, რომ არველაძეს ლარსონისგან განსხვავებით არასდროს უთამაშია ევროპის თუ მსოფლიო ჩემპიონატების ფინალურ ეტაპზე.

ლარსონ-არველაძის შედარებისთვის იქნებ ისიც გამოგვადგეს, რომ შვედმა პროფესიულ კარიერაში სამ გუნდში ითამაშა — „ჰელსინგბორგი“, „ფეიენოორდი“ და „სელტიკი“, ხოლო არველაძემ ოთხში — „დინამო“, „ტრაბზონი“, „აიაქსი“ და „რეინჯერსი“.

რაც შეეხება სადღეისო ვითარებას, მიმდინარე სეზონში ლარსონმა 21 გოლი გაიტანა, შოთამ 16 — აქ ითვლება ეროვნულ ნაკრებში, ევროტურნირებზე, შოტლანდიის ჩემპიონატში და თასებზე დაჯამებული გოლები.

**დავით თავართქილაძე**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1 | რომარიო | ფლუმინენსე | 560 | 458 |
| 2 | კშიშტოფ ვარჟიხა | პანათინაიკოსი | 555 | 312 |
| 3 | ხოსე კარდოზო | ტოლუკა | 402 | 281 |
| 4 | ალან შირერი | ნიუკასლი | 481 | 259 |
| 5 | ალბერტო აკოსტა | სან ლორენსო | 535 | 238 |
| 6 | ივან ვალენსიანო | უნიონ მაგდალენა | 400 | 230 |
| 7 | მარიო ჟარდელი | ბოლტონი | 249 | 224 |
| 8 | გაბრიელ ბატისტუტა | ალ-არაბი | 406 | 217 |
| 9 | შტეფან შაპუიზა | იანგ ბოიზი | 461 | 215 |
| 10 | შოთა არველაძე | რეინჯერსი | 333 | 214 |
| 11 | ჰაკან შუქური | გალათასარაი | 406 | 214 |
| 12 | ხრისტო სტოიჩკოვი | DC იუნაიტედი | 434 | 208 |
| 13 | ჰენრიკ ლარსონი | სელტიკი | 328 | 202 |
| 14 | მარკოს რაუფმანი | ომონია | 197 | 199 |
| 15 | რობერტო ბაჯო | ბრეშა | 436 | 198 |

*სიაში შეყვანილია მხოლოდ ის ფეხბურთელები, რომელთაც კარიერა ჯერ არ დაუმთავრებიათ და მათ დათვლილი აქვთ მხოლოდ უმაღლეს ლიგებში ჩატარებული თამაშები და გოლები — მონაცემები 2003 წლის 31 დეკემბრისთვის.*

*„იანინამ“ ბერძნული მეორე ლიგის მორიგ ტურში სტუმრად ათენის „ჰოსტირა“ დაამარცხა, რითაც საგრძნობლად გაიუმჯობესა სატურნირო მდგომარეობა და გასავარდნთა ზონას ასცდა. პროფესორ ელგუჯა გუგუშვილის გუნდმა ზედიზედ მეორე მატჩი მოიგო.*

*გუგუშვილი სასწაულმოქმედია, ჩვენ გადავრჩებით — ამ სათაურით გამოეხმაურა გუშინ იანინას ყოველკვირეული გაზეთი გუნდის მორიგ გამარჯვებასო, გვითხრა „იანინას“ მწვრთნელის თანაშემწე გოდერძი ნატროშვილმა.*

*გუშინ იანინაში ელგუჯა გუგუშვილსაც დავუკავშირდით*



# იანინას იმედი მიეცა, გუგუშვილს კარგი პრესა

— პრესის გამოხმაურებით თუ ვიმსჯელებთ, ათენში „იანინას“ მოგება დიდი მოულოდნელობა ყოფილა...

— მძიმე თამაში იყო. ძალიან გაგვიჭირდა. მეორე ლიგაში ათენის გუნდები პერიფერიელ მეტოქეს შინიდან იშვიათად ატანენ ქულებს, მაგრამ ჩემმა გუნდმა ერთობ მონდომა და გარჯა დაგვიფასდა, 2:0 მოვიგეთ, ორივე გოლი მეორე ტაიმში გავიტანეთ. ორჯერვე კონტრშეტევაზე დავიჭირეთ მეტოქე. გამორჩევით კარგად „იანინას“ ნახევარდაცვამ ითამაშა.

— კვლავ არ უთამაშიათ ქართველებს. ჯაკობიასა და ხვადაგიანის განაცხადში შეყვანას ვერ ახერხებთ?

— ყველაფერი უკვე მოგვარდა. ყველა საჭირო საბუთი ხელთ გვაქვს და ჯაკობიას და ხვადაგიანს მალე განაცხადშიც შევიყვანთ. ისინი გუნდთან ერთად ვარჯიშობენ, ძალიან კარგ ფორმაში არიან და გარწმუნებთ, მომავალ ტურში აუცილებლად ითამაშებენ.

— ხშირად მწვრთნელები გამარჯვებულ შემადგენლობას არ ცვლიან. ამის გათვალისწინებით, მაინც ათამაშებთ ქართველებს?

— დიახ, ისინი გაცილებით მაღალი დონის ფეხბურთელები არიან, ვიდრე მათ პოზიციებზე მოთამაშე ბერძნები. ამიტომაც ვამბობ, ხვადაგიანი და ჯაკობია მომავალ ტურში ძირითადში იქნებიან.

— ხმები დაირხა, ელგუჯა გუგუშვილი და ქართველი ფეხბურთელები საბოლოოდ მოდიან „იანინადანო“...

— სიცრუეა. ძლივს საქმე ავაწყვეთ და აქედან რატომ წამოვალთ? კონტრაქტს რომ თავი დავანებოთ, კაცური ვალდებულებაც გვაქვს „იანინას“ პრეზიდენტ ჯონი გიგანის წინაშე.

— თქვენ როდემდე დარჩებით საბერძნეთში?

— ერთ ტურსაც გავუძღვები გუნდს, მერე კი თბილისში უნდა დავბრუნდე. შემდეგი მატჩი კვირას, 8 თებერვალს გვაქვს, თბილისში კი 11 თებერვალს წამოვალ, გადაუდებელი საქმე მაქვს.

— დიდი ხნით დატოვებთ „იანინას“?

— კლუბის პრეზიდენტ ჯონი გიგანთან შეთანხმებით, მე „იანინას“ მწვრთნელ-კონსულტანტი ვიქნები, ეს კი იმასაც ნიშნავს, რომ პერიოდულად საბერძნეთში ჩავალ და გუნდს კონსულტაციებს გავუწევ.

**პაატა ქვანტალიანი**

# რა უცებ: ქართული საფეხბურთო სათვისტომო კიევში

*ხვალ კიევის „არსენალი“ თურქეთში მიემგზავრება მეორე შეკრებაზე. კიეველებს გუნდის სრულფასოვანი წევრის სტატუსით ორი ქართველი გაჰყვება – გელა შეყილაძე და ლევან სილაგაძე. ორიც – ირაკლი ვაშაკიძე და ბორის გონჩაროვი – სწორედ თურქეთში მიიღებს საბოლოო პასუხს. კიევში ვაშაკიძე ბურდულსა და ამისულაშვილსაც შეხვდა.*

*აი, რა გვითხრა ირაკლიმ, კიევში რომ შევეხმიანეთ.*

— გასახარი ამბავია, რომ ბიჭები პოსტსაბჭოური სივრცის უძლიერეს კლუბში თავს საუცხოოდ გრძნობენ. კიევში „დინამოს“ ბაზაზეც ვიყავი სტუმრად და აღფრთოვანებული დავრჩი. ჩვენს საქმეებს რაც შეეხება, მე და გონჩაროვი ერთად ჩამოვედით. კლუბის ხელმძღვანელობა თბილად დაგვხვდა. ვვარჯიშობთ მანეჟში, ძირითადად ფიზიკურად. თურქეთში კი ბურთიანად ვივარჯიშებთ.

— როგორც ჩანს, შენი ტრანსფერის ბედი თურქეთში გადაწყდება...

— საბოლოო პასუხს თურქეთში მეტყვიან, თუმც საქმე ისე მიდის, თუ რაიმე არ შეიცვალა, დარწმუნებული ვარ, კონტრაქტზე ხელს მოვაწერ.

— რატომ ხარ ასე დარწმუნებული?

— ჯერ კიდევ პირველი შეკრებისას გროზნიმ გასამხნევებელი და საქებარი სიტყვები არ დამაკლო. ახლაც თურქეთში ჩემს პოზიციაზე ახალი არავინ მოჰყავს, რაც ბევრ რამეზე მეტყველებს.

— კიევში ქართული საფეხბურთო სათვისტომო გაჩნდა...

— მე, ლადო და ალეკო დიდი ხანია, ვმეგობრობთ და ვიცი, რომ თავისუფალ დროს სულ ერთად ვიქნებით. შეყილაძე და სილაგაძეც ხომ აქ არიან, ასე რომ არაფერი უნდა გაგვიჭირდეს. მოკლედ, მთავარი კონტრაქტია, თორემ სათანადოდ რომ ავთამაშდები, ვიცი.

**დავით ერაძე**

# ტყებუჩავაც კიევის დინამოშია

**კიევის „დინამოში“** ახლახან ალეკო ამისულაშვილი გადავიდა და საცაა, ალბათ, კიდევ ერთი თბილისელი, ლადო ბურდულიც მოაწერს ხელს კონტრაქტს. მანამდე კახა კალაძესა და გიორგი დემეტრაძესაც დაუჭაშნიკებიათ კიევური „დინამო“, მაგრამ ქართველი მწვრთნელი ამ სახელიან კლუბში ჯერ არ მისულა.

მოკლედ, გუშინ გადაწყდა, რომ გოჩა ტყებუჩავა კიევის „დინამოში“ სტაჟირებას გაივლის — დამოუკიდებელ ქართულ ფეხბურთში აქამდე არც ერთი მწვრთნელი არ წასულა უცხოეთის ცნობილ გუნდში არც სამუშაოდ და არც სტაჟირებაზე.

ტყებუჩავა, ვისაც სხვათა გარდა თბილისურ და მოსკოვურ „დინამოშიც“ უთამაშია, სამწვრთნელო საქმეს ოთხი წლის წინ შეუდგა თბილისის „დინამოში“. შემდეგ ცოტა ხნით „ვიტ ჯორჯიას“ წვრთნიდა, მერე თბილისის „ლოკომოტივში“ და ახალგაზრდულ ნაკრებში მუშაობდა მთავარი მწვრთნელის თანაშემწედ.

ტყებუჩავა ახლა კიევში გახლავთ და თბილისში რამდენიმე დღეში დაბრუნდება, ხოლო უკრაინაში მაშინ მოუწევს ხელმეორედ ჩასვლა, როცა „დინამო“ უცხოური შეკრებიდან დაბრუნდება.

**დავით თავართქილაძე**

*საფრანგეთის შემდეგ მოსკოვის „ლოკომოტივი“ გერმანულ რუიტში ემზადება საახალსეზონოდ. რკინიგზელებმა იქ უკვე ორი ამხანაგური მატჩის გამართვაც მოასწრეს, „შტუტგარტ კიკერსთან“ (2:2) და „ლუდვისბურგთან“ (2:1). მალხაზ ასათიანმა და მიხეილ აშვეთიამ ორივე მატჩი ითამაშეს, რომან ახალკაცი კი სათადარიგოობას დასჯერდა. საქმეც სწორედ იქით მიდის, რომ „ლოკომოტივი“ ასათიან-აშვეთიას ქართული დუეტით შეხვდება მოახლოებულ ჩემპიონთა ლიგას. რაც შეეხება ახალკაცს, მოსკოველთა თქმით, ამ ეტაპზე მას ძალიან გაუჭირდება ძირითად შემადგენლობაში მოხვედრა.*

*როგორ ემზადება „ლოკომოტივი“, რა პერსპექტივები აქვთ ქართველ ფეხბურთელებს, რატომ მიეძალა მოსკოვური კლუბი ქართულ ბაზარს... ამ და სხვა კითხვებზე გუშინ გვიპასუხა რკინიგზელთა სპორტულმა დირექტორმა, კლუბის სატრანსფერო საქმეების ერთ-ერთმა მთავარმა წარმმართველმა ბორის იგნატიევმა, რომელსაც გერმანიაში დავუკავშირდით*



იური სიომინი და ბორის იგნატიევი ქართველებს არ უჩივიან

# საქართველო კარგი ბაზარია

## დინამო ლოკომოტივმაც შეათვალიერა

— „ლოკომოტივი“ უკვე მეორე შეკრებაზეა, კმაყოფილი ხართ გუნდის დღევანდელი მდგომარეობით?

— ყოველ შემთხვევაში, ბიჭებს უკმაყოფილების საბაბი არ მოუციათ. სეზონის განახლებამდე არც ისე დიდი დრო დაგვრჩა და ამიტომ ახლა შეცდომის უფლება არ გვაქვს. ძალიან სერიოზულად ვმუშაობთ, ყველა ნიუანსს დიდი ყურადღებით ვაკვირდებით.

— რამდენიმე რუსულმა კლუბმა საახალსეზონო მზადება „ლოკომოტივზე“ ადრე დაიწყო, არადა, თქვენ მალე ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალი გელით...

— ამას თავისი მიზეზები ჰქონდა. ჯერ ერთი, 2003 წელი ჩვენთვის ძალიან დამღლელი იყო და ბიჭებს დასვენება სჭირდებოდათ. მეორეც, ჩვენ განზრახ მივეცით ფეხბურთელებს შედარებით დიდი დრო, რათა მათ ფეხბურთი მონატრებოდათ. ასეც მოხდა. საფრანგეთში დავრწმუნდი, რომ ბიჭებს თამაში სწყუროდათ. ისინი ზედმეტად მონდომებულებიც კი იყვნენ. ეს ძალიან კარგი ნიშანია. ერთი სიტყვით, გუნდის ფუნქციური და ფსიქოლოგიური მდგომარეობით ძალიან კმაყოფილი ვარ.

— თქვენს მეტოქე „მონაკოზეც“ ვთქვათ. კენჭისყრის დამთავრებისთანავე გაჩნდა აზრი, რომ „ლოკომოტივს“ გაუმართლა...

— ნაწილობრივ გეთანხმებით. „მონაკო“ ევროპული ფეხბურთის გრანდი ნამდვილად არ არის, მაგრამ ისიც გასათვალისწინებელია, რომ ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში სუსტი მეტოქე არ არსებობს.

— ფრანგებს ერთი აშკარა უპირატესობა მაინც აქვთ თქვენთან: მათი ჩემპიონატი ახლა გახურებულია...

— ეს მართლა გვარიანი პრობლემაა ჩვენთვის. „მონაკომ“ სეზონი უკვე დაიწყო, ჩვენ კი ამხანაგური მატჩებით ვცდილობთ ფონს გასვლას და ამით ილუზია გვექმნება, რომ სათამაშო პრაქტიკა გვაქვს. არადა, ასე არ არის. ჩვენს მიერ ჩატარებულ ამხანაგურ მატჩებს სერიოზული თვალით ნაღდად ვერ შევხედავ. უბრალოდ, ეს აუცილებელი რამ არის და არავითარ შემთხვევაში საკმარისი.

— ცხადია, ჩვენ ქართველი ფეხბურთელების ბედი უფრო გვაინტერესებს. რას იტყვით მალხაზ ასათიანზე, რომელიც, როგორც იქნა, ჩაჯდა „ლოკომოტივის“ ძირითადში?

— მე ამ ბიჭის ყოველთვის მჯეროდა. ასათიანმა აშკარად მოუმატა და შედეგიც სახეზეა: ის უკვე ძირითადი შემადგენლობის წევრად მოიაზრება. ძალიან მიხარია, რომ მალხაზი შრომას არ გაურბის და ზრდას განაგრძობს.

— შარშან იური სიომინმა რამდენჯერმე აღნიშნა, რომ ასათიანს ამპლუა უნდა შეუცვალოს და დაცვაში ათამაშოს. არადა, ახლახან მალხაზმა საფრანგეთში სამ მატჩში ორი გოლი გაიტანა. თქვენი აზრით, სად არის მისი ადგილი?

— მწვრთნელის საქმეებში ვერ ჩავერევი, მაგრამ მალხაზის ახალი ამპლუაც ძალიან მომეწონა. ვფიქრობ, ასათიანი მამინოვთან ერთად საყრდენობას გაწევს. ამ პოზიციაზე თქვენებური მართლაც კარგად გამოიყურება.

— დმიტრი სიჩოვი, ჯეიმს ობიორა... ბოლოხანს „ლოკომოტივმა“ თავდასხმის გაძლიერებაზე აიღო გეზი. მიხეილ აშვეთიას ფორმა არ მოგწონთ, თუ...

— არა, ეს არაფერ შუაშია. აშვეთიას გრიპის გამო ფრანგული შეკრების ნაწილი გაუცდა, მაგრამ ახლა ის სრულ მზადყოფნაშია, ათამაშდა და კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ ჩვენს გუნდში უკონკურენტოა. გერმანიაშიც ზუსტად ისეთი აშვეთია ვნახეთ, როგორიც გვინდოდა. ვფიქრობ, მას ძირითადში ადგილის დაკარგვა ძალიან „გაუჭირდება“.

— „ლოკომოტივის“ მესამე ქართველი რომან ახალკაცი როგორ შთაბეჭდილებას ტოვებს?

— პერსპექტიული ბიჭია, მაგრამ დიდი შრომა მოუწევს. მისი ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელად მიჩნევა ჯერ ნაადრევია. საამისოდ ისეთივე გზა უნდა გაიაროს, როგორიც ასათიანმა. თუმც რაღაც პლუსები მასაც აქვს: ძალიან სწრაფი და შრომისმოყვარეა. ეტყობა, რომ დიდ პასუხისმგებლობას გრძნობს.

— როგორც ჩანს, „ლოკომოტივი“ ძალიან გაუშინაურდა ქართულ ბაზარს. კიდევ ხომ არ აპირებთ რომელიმე ქართველი ფეხბურთელის შეძენას?

— ყოველთვის ყურადღებით ვაკვირდებით ესენგეს ყველა ქვეყნის ჩემპიონატს. ცხადია, განსაკუთრებულ ინტერესს საქართველო იწვევს. ქართველებს ყოველთვის გყავდათ კარგი ფეხბურთელები და მე თქვენი ნიჭის დამფასებლად ჩამთვალეთ. ასე გადმოვიბირეთ ასათიანი, მერე აშვეთია, რომელსაც მე ვლადიკავკაზის „სპარტაკ-ალანიადანაც“ ვიცნობდი. ვნახოთ, თქვენ კიდევ გეყოლებათ ჩვენთვის საინტერესო ბიჭები, რაც ახლანდელ თანამეგობრობის თასზეც გამოჩნდა. თბილისის „დინამოს“ თამაშით მოხიბლული დავრჩი, ცალი ფეხით მოიგო თასი. თან რამდენიმე კარგი ფეხბურთელიც ჩავინიშნე...

— ვიტალი დარასელია ხომ არ გყავთ მხედველობაში? მით უმეტეს, ესენგეს თასის დასრულებისთანავე გავრცელდა ინფორმაცია, რომ დარასელიასთან ერთ-ერთი მოსკოვურ კლუბი აწარმოებს მოლაპარაკებას...

— ამას ვერ დაგიკონკრეტებთ. სატრანსფერო ბაზარზე მგლური კანონები მოქმედებს და შესაძლოა, შენთვის საჭირო ფეხბურთელი ვიღაცამ ცხვირწინ აგაცალოს. ამიტომ, ნება მომეცით, გვარები არ დავასახელო.

— ესე იგი, დაინტერესდით...

— ჩვენ ყოველთვის ვფიქრობთ კარგ ქართველ ფეხბურთელებზე, მით უმეტეს, წლევანდელი ესენგეს თასის შემდეგ. ახლა კი მეტს ვერაფერს გეტყვით...

**კახა შალამბერიძე**






მიხეილ აშვეთიამ და მალხაზ ასათიანმა „ლოკომოტივი“ ქართველებისკენ გამოახედეს

# რეხვიაშვილი ისევ ვაგზალზეა

## მატარებელი კი არა და არ მოდის

*არა და არ გამოჩნდა ალექსანდრე რეხვიაშვილისთვის სასურველი კლუბი. ეროვნული ნაკრების საყრდენი ნახევრმცველი კვლავაც მოსკოვშია და ხელსაყრელ წინადადებას ელის.*

*რეხვიაშვილის გადაბირების სურვილი პირველი ლიგის რამდენიმე კლუბმა გამოთქვა, თუმც ქართველი ფეხბურთელი ფეხს ითრევს — დაბალ ლიგაში თამაში არ სურს*

რეხვიაშვილით ყველაზე მეტად მახაჩყალის „ანჟია“ დაინტერესებული. გუნდის თავკაცი კუზნეცოვი ფეხბურთელს პირადად ესაუბრა, ჩვენთან გადმოდი და კარგ პირობებს შეგიქმნითო. ამის გამო რუსულ პრესაში დაიწერა, რეხვიაშვილი „ანჟის“ თურქულ შეკრებაზე გაჰყვებაო, თუმც ასე არ მოხდა. მახაჩყალელები გუშინწინ გაემგზავრნენ ანთალიაში, რეხვიაშვილი კი მოსკოვში დარჩა.

— კუზნეცოვი გუნდთან ერთად არ წასულა ანთალიაში, ხვალ შეუერთდება. მან კიდევ ერთხელ დამირეკა და მთხოვა, მასთან ერთად წავსულიყავი, თუმც უარი ვუთხარი. შესაძლოა, ამ ორ დღეში კარგი ვარიანტი გამომიჩნდეს და მოსკოვში უნდა ვიყო. თუ არაფერი გამოვიდა, შეიძლება, ანთალიაში მართლაც ჩავაკითხო „ანჟის“, ოღონდ მხოლოდ სავარჯიშოდ და ფორმის შესანარჩუნებლად. პირველ ლიგაში თამაშს მას შემდეგ დავყაბულდები, როცა ჩემი რუსულ პრემიერლიგაში დარჩენა საბოლოოდ გამოირიცხება. იმედი მაქვს, ასე არ მოხდება. მოთმინება მყოფნის და ბოლომდე დაველოდები ხელსაყრელ წინადადებას — ეს გვითხრა ალექსანდრე რეხვიაშვილმა, გუშინ მოსკოვში რომ შევეხმიანეთ.

**პაატა ძვანტალიანი**



ალექსანდრე რეხვიაშვილი ჯერაც ეული და უსაქმოა

რეკლამა
სარბიელ-ში
Tel: 39 40 08,
93 16 08;
Fax: 94 33 80

*რეფერენდუმები, გამოკითხვები... საშობაო-საახალწლო წარმოდგენების და გალა წარმოდგენების დრო გავიდა, მაგრამ საუკეთესოთა გამოვლენებს წინ რა უდგას და აი, უეფას საინტერესო გვერდზე ვკითხულობთ, რომ მის მკითხველთა აზრით, ევროპის 2003 წლის საუკეთესო ფეხბურთელი, როგორც მოსალოდნელი იყო, იუვენტუსელი ჩეხი პაველ ნედვედია.*

# ის ყველას სჯობს და ამბობს: მე ბევრი მჯობს



პაველ ნედვედი ჯილდოებს ცოლთან ერთად იღებს

**2003 წელს** ნედვედის მონაწილეობისა და ლომის წილის წყალობით „იუვემ" ჩემპიონის ტიტული და იტალიის სუპერთასი მოიგო, გარდა ამისა, გავიდა ჩემპიონთა ლიგის ფინალში, სადაც (საოცარი რამ მოხდა) დისკვალიფიკაციის გამო ვერ ითამაშა და გუნდმაც წააგო. რაც შეეხება სანაკრებო მოღვაწეობას, ნედვედის ეროვნულმა გუნდმა 19-მატჩიანი წაუგებელი სერია გაიარა და ევრო 2004-ის ფინალურ ეტაპზე მოხვდა. საინტერესოა, რომ შესარჩევ ჯგუფში ჩეხებმა თვით ჰოლანდიელები ჩამოიტოვეს.

და, ბუნებრივია, პაველ ნედვედმა უამრავ გამოკითხვაში გაიმარჯვა, ჩამოვთვალოთ: ჩეხეთის წლის საუკეთესო სპორტსმენი, ჩეხეთის წლის საუკეთესო ფეხბურთელი, ფრანჩესკო ტოტისთან ერთად იტალიის წლის საუკეთესო ფეხბურთელი, „უორლდ სოკერის" ვერსიით მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი (ამ ჟურნალის მკითხველი გულშემატკივრების რჩეული), „ფრანს ფუტბოლის" „ოქროს ბურთის" მფლობელი და აგერ, უეფას საინტერესო გვერდის მკითხველთა რჩეული. ერთადერთი მართლა დიდი ჯილდო, რომელიც ნედვედს არ ხვდა, ფიფას ვერსიით მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელობა გახლდათ — მსოფლიოს ნაკრები გუნდების მწვრთნელებმა ზინედინ ზიდანს მისცეს ხმა.

„მე თუ მკითხავთ, ჩემზე უკეთესი ფეხბურთელებიც არსებობენ — ამბობს 31 წლის იუვენტუსელი — კარგად ვიცი, რამდენი უნდა ვიმუშაო მათ რომ გავუტოლდე. მიუხედავად ამისა, ყველა ამ ჯილდოს მოგება დიდი სიამოვნებაა, რადგან ეს ხალხის დაფასებას და ჩემი შრომის აღიარებას ნიშნავს, გასულ წელს ძალიან ბევრი ვიმუშავე და ვიცი, წლეულს უფრო მეტი მომიწევს".

პრაღის „დუკლასა" და „სპარტას", აგრეთვე „ლაციოს" ყოფილი ფეხბურთელი უეფას ვებ-გვერდის მკითხველთა ჯილდოზე ასე ამბობს:

„ძალიან დიდი იმპულსია, როდესაც იცი, რომ ევროპელი ქომაგები მხარს გიჭერენ. ერთადერთი, რისი თქმაც შემიძლია, ის გახლავთ, რომ მე ყოველთვის დიდი გატაცებით და მთელი გულით ვითამაშებ. მგონი, ქომაგებსაც თავდადებული ფეხბურთელები უყვართ".

წლევანდელი ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში კი ნედვედის „იუვენტუსი" ესპანელ ნაცნობს, „დეპორტივო ლა კორუნიას" ხვდება. ჩეხმა იცის, რომ გალისიელებთან ძნელი მატჩები ელით.

„ჩვენთვის ეს ძნელი და სახიფათო დაპირისპირებაა. „დეპორტივო" სოლიდური გუნდია, რომელიც კარგ ფეხბურთს თამაშობს. მათ განსაკუთრებით ბურთის ფლობა ეხერხებათ. მწამს, ორი უკიდურესად დაძაბული თამაში გველის".

როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ნედვედმა შარშანდელი ლიგის ფინალი გამოტოვა და თუ გავითვალისწინებთ, რომ „ლაციოს" შემადგენლობაში უეფას თასი და უეფას სუპერთასი მოპოვებული აქვს, გამოდის, რომ კონტინენტურ ჯილდოთაგან მხოლოდ ჩემპიონთა თასი რჩება მოსაგები.

„შარშან მთელი შეჯიბრების განმავლობაში მიღებული სამი ყვითელის გამო ფინალი გამოვტოვე, რამაც ძალიან მატკინა გული. ნებისმიერი ფეხბურთელის ცხოვრებაში ჩემპიონთა ლიგის ფინალზე უკეთესი რა უნდა იყოს, და ამიტომ, რადაც უნდა დამიჯდეს, სანამ ფეხბურთიდან წავალ, ერთხელაც უნდა გავიდე ფინალში".

და, რა თქმა უნდა, ევრო 2004, სადაც ჩეხებს ურთულესი ჯგუფი ელით, მათთან არიან გერმანელები, ჰოლანდიელები და ლატვიელები.

„მე თუ მკითხავთ, ევროპის ჩემპიონატზე ყველა გუნდი ძლიერია, ამიტომ როგორ ჯგუფში უნდა მოხვდე, მაინც დიდი თამაშები და ბრძოლები გელის. მთავარია, არ ვინერვიულოთ და დანარჩენს ვნახავთ" — ამბობს ნედვედი, რომელიც ევრო 96-ის მონაწილეა, სადაც ჩეხები ფინალში გავიდნენ და იქ გერმანელებთან დამარცხდნენ.

ნედვედი დასძენს: „ევროპის ჩემპიონატი უძნელესი სეზონის დამთავრების მერე იწყება და ამიტომ, ვფიქრობ, რომ შედარებით ნაკლებად დაღლილი გუნდები უფრო წინ წავლენ".

**ბაპუნა ძედია**

# მილანს წყვილი უნდა

## ლაციოს მილანის ძლევა

„**სკუდეტოს**" მაძიებელი ნომერი ერთი, „მილანი", „პარმასგან" ალბერტო ჯილარდინოსა და დანიელე ბონერას წყვილს ითხოვს — მოგეხსენებათ, საკვები პროდუქტების გიგანტის, „პარმალატის" გაკოტრების შემდეგ „პარმას" საქმე წაუხდა და თავს ფეხბურთელების გაყიდვით ირჩენს.

საინტერესოა, რომ ეს ორი ფეხბურთელი (თითქოს მათი დაცალკევება არ შეიძლებოდეს) ასე ერთად უნდოდა „იუვენტუსსაც", მაგრამ როგორც ამბობენ, „შავ-წითლებმა" ვაჭრობაში ტურინელებზე მეტად გამოიჩინეს თავი. ერთი სიტყვით, მოვა ზაფხული, სატრანსფერო ბაზარი ისევ გაიხსნება და „პარმას" შესაძლოა, ერთი მოთამაშეც აღარ შერჩეს.

როგორც ჯირალდინო, ასევე ბონერა ახალგაზრდები გახლავან. ამათგან პირველი 21-წლამდელთა ნაკრებშია და შარშან ისე კარგად თამაშობდა, რომ ქვეყნის მთავარ „ამომავალ" თავდამსხმელად მიიჩნიეს. განსაკუთრებით მან მაშინ მიიქცია ყურადღება, როდესაც ადრიანო დაშავებული იყო და მის მაგივრად უხდებოდა თამაში. ეს ამბავი სამი თვის განმავლობაში გრძელდებოდა.

ბონერა 23 წლისაა. სტილით იგი ძველი სკოლის იტალიელი მცველი გახლავთ. მას შუაშიც შეუძლია თამაში და მარჯვნივაც.

როგორც ამბობენ, ამ ორ ფეხბურთელში „მილანი" სადღაც 10 მილიონ ევროს იხდის. „პარმას" კი თანხა ეცოტავება. პარმელებს სადღაც 17-18 მილიონამდე უნდათ.

„რაც შეეხება რომის "ლაციოს", იგი ამ ჩემპიონატში სკუდეტოს ვეღარ მოიპოვებს და ამიტომ მისი კაპიტანი, ჯუზეპე ფავალი აქცენტს თასზე აკეთებს. არადა, შეგახსენებთ, რომ რომაელები ნახევარფინალში არც მეტი, არც ნაკლები, ზემოხსენებულ „მილანს" ხვდებიან.

„ჩვენ თასის მოგება გვინდა — ამბობს ფავალი — ადრე როგორ იყო არ ვიცი და წლეულს, კოპა იტალია ნამდვილი, მნიშვნელოვანი ჯილდოა. ჩემთვის საგანგებოა ისიც, რომ „მილანს" ვხვდებით. ამ მატჩებში ორ მეგობარს, სანდრო ნესტასა და ჯუზეპე პანკაროს დავუპირისპირდები".

საინტერესო ისაა, რომ კაპიტანს, რომელმაც „ლაციოში" 12 წელიწადი გაატარა, სეზონის ბოლოს გუნდის დატოვება უნდა და ამიტომაც ლამობს ასე ძალიან ჯილდოს მოგებას.

„გამარჯვებით წასვლა დიდებული იქნება, ხოლო მე იქნებ ინგლისშიც გავაგრძელო კარიერა" — თქვა „კრემონეზეს" ყოფილმა ფეხბურთელმა, რომელმაც რომში 287 შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა. ეს „ლაციოს" ისტორიაში მეორე შედეგია. უფრო მეტი, 339, მხოლოდ ალდო პუჩინელის აქვს ჩატარებული.

„ამ შედეგმა დიდი სიამოვნება და სიამაყის გრძნობა მომანიჭა — თქვა ფავალიმ — „ლაციოში" ბევრი დიდებული დღე მქონია და დიდი ჯილდოებიც მომიპოვებია".

მის საშინაო მუზეუმში ინახება სკუდეტო, იტალიის თასი და სუპერთასი, ევროპის თასების მფლობელთა თასი და სუპერთასი.

თუმცა ფეხბურთი და მათ შორის იტალიური, მხოლოდ გამარჯვებული გუნდებისგან არ შედგება. მაგალითად, „პერუჯას" მიმდინარე ჩემპიონატში ჯერ თამაში არ მოუგია, მაგრამ მისი განაპირა მცველი ზე მარია იმედს არ კარგავს.

„ბოლო ტურში, „პარმასთან" ჩვენი ძალა გამოვავლინეთ. ამ დღეს ახალმა ფეხბურთელებმა დაამტკიცეს, რომ უკვე შეეწყვნენ გუნდს. მწამს, რამდენიმე ტურში სურათი ძალიან შეიცვლება. წინ 15 ტურია, ასე რომ, დღეს იმედის გადაწურვა დიდი შეცდომა იქნებოდა".

**ბაპუნა ძედია**



ჯუზეპე ფავალი



ალბერტო ჯილარდინო

## გერმანია

II ბუნდესლიგა. XVIII ტური

**ობერჰაუზენი 3:2 არმინია**

0:1 ბოაკიე (15), 1:1 შარპენბერგი (53), 1:2 პორკელიო (65), 2:2 მონტერო (68), 3:2 რიტპიჩი (75)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ობერჰაუზენი | 18 | 9 | 5 | 4 | 32:21 | 32 |
| ნიურნბერგი | 18 | 9 | 4 | 5 | 33:23 | 31 |
| ალემანია | 18 | 9 | 4 | 5 | 30:27 | 31 |
| კოტბუსი | 18 | 8 | 5 | 5 | 29:25 | 29 |
| მაინცი | 18 | 7 | 7 | 4 | 27:21 | 28 |
| არმინია | 18 | 8 | 3 | 7 | 28:21 | 27 |
| ბურგჰაუზენი | 18 | 7 | 5 | 6 | 24:21 | 26 |
| უნტერჰახინგი | 18 | 7 | 5 | 6 | 29:28 | 26 |
| კარლსრუე | 18 | 7 | 4 | 7 | 19:24 | 25 |
| ფიურტი | 18 | 5 | 7 | 6 | 31:29 | 22 |
| ლიუბეკი | 17 | 5 | 7 | 5 | 27:25 | 22 |
| რეგენსბურგი | 18 | 5 | 7 | 6 | 23:24 | 22 |
| დუისბურგი | 17 | 5 | 7 | 5 | 23:25 | 22 |
| აუე | 18 | 4 | 8 | 6 | 19:21 | 20 |
| ტრირი | 18 | 5 | 5 | 8 | 21:31 | 20 |
| ალენი | 18 | 6 | 2 | 10 | 20:30 | 20 |
| უნიონი | 18 | 4 | 5 | 9 | 18:23 | 17 |
| ოსნაბრიუკი | 18 | 4 | 4 | 10 | 18:32 | 16 |

## საფრანგეთი

II დივიზიონი. XXII ტური

**ნანსი 1:1 ლორიანი**

0:1 შაბერი (55), 1:1 ფორე (57)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ისტრი | 23 | 13 | 4 | 6 | 25:11 | 43 |
| სენტ ეტიენი | 23 | 12 | 4 | 7 | 24:19 | 40 |
| კაენი | 23 | 10 | 9 | 4 | 32:21 | 39 |
| ამიენი | 22 | 11 | 6 | 5 | 23:14 | 39 |
| ლორიანი | 22 | 11 | 5 | 6 | 38:22 | 38 |
| ნიორი | 23 | 9 | 9 | 5 | 30:21 | 36 |
| ლე ავრი | 22 | 10 | 6 | 6 | 27:21 | 36 |
| ტრუა | 23 | 9 | 8 | 6 | 26:25 | 35 |
| შატორუ | 23 | 9 | 7 | 7 | 31:29 | 34 |
| ნანსი | 23 | 7 | 11 | 5 | 25:20 | 32 |
| სედანი | 23 | 7 | 11 | 5 | 16:17 | 32 |
| კლერმონი | 23 | 5 | 10 | 8 | 25:38 | 25 |
| გრენობლი | 23 | 5 | 9 | 9 | 20:23 | 24 |
| კრეტეი | 23 | 4 | 11 | 8 | 25:29 | 23 |
| ვალანსი | 23 | 5 | 8 | 10 | 22:32 | 23 |
| ლავალი | 23 | 4 | 10 | 9 | 27:33 | 22 |
| გენიონი | 23 | 4 | 10 | 9 | 21:29 | 22 |
| ანჟე | 22 | 4 | 8 | 10 | 19:27 | 20 |
| ბეზანსონი | 23 | 4 | 8 | 11 | 18:30 | 20 |
| რუანი | 23 | 3 | 10 | 10 | 16:29 | 19 |

# ადრიანოს ფენომენური ოცნება

## ფრთხილად, ალბერტო, გახსოვდეს რობერტო!

*„ინტერის“ ახალი შენაძენი, ბრაზილიელი თავდამსხმელი ადრიანო, რომელიც, შეგახსენებთ, მილანში „პარმადან“ გადავიდა, როგორც ჩანს, მეცხრე ცაზეა და აცხადებს, ნეტავ, მომავალში „სან სიროზე“ ჩემს მხარდამხარ რონალდომ ითამაშოსო*



ადრიანო რონალდოს ელის



ალბერტო ძაკერონი

„ჩემი ოცნება რონალდოს „ინტერში“ დაბრუნებაა — თქვა კვირას, სერია A-ს მე-19 ტურში ორი გოლის ავტორმა — ამ შავ-ლურჯი მაისურით რონალდოს მხარდამხარ რაიმეს მოგება ჩემთვის დიდი პატივი იქნება.

უნდა ითქვას, რომ ამ ორ ფორვარდს „ინტერში“ მართლა გაუტარებიათ ერთად დრო. საუბარია 2001 წლის ბოლო ექვს თვეზე, რის მერეც რონალდო მადრიდის „რეალში“ გადავიდა, ხოლო ადრიანო ჯერ „ფიორენტინაში“ გაასესხეს და შემდეგ „პარმაში“.

და რატომ დაირხა ამ ბოლო დროს ხმები, რომ რონალდო ოდესმე შეიძლება მართლა დაბრუნდეს მილანში? იმიტომ, რომ „შავ-ლურჯებმა“ არგენტინელი მწვრთნელი, ექტორ რაულ კუპერი გაუშვეს.

„რონალდომ მითხრა, რომ დაბრუნება სურს — თუ დაეჯერება, ასე თქვა ადრიანომ — მაგრამ ცხადად ხვდება, რომ ეს მარტო მასზე არ არის დამოკიდებული.“

საინტერესოა, რომ ოფიციალურად არც „ინტერი“ უარყოფს „ფენომენის“ დაბრუნების შესაძლებლობას და ეს მიუხედავად იმისა, რომ „რეალს“ მისი გაყიდვა გუნებაშიც არ აქვს.

მაგრამ, რონალდოს დაბრუნება-არდაბრუნებაზე აქტუალური ამჟერად ჩემპიონთა ლიგაში გამსვლელი ადგილის მოპოვებაა. როგორც ამბობენ, „ინტერის“ მწვრთნელად ალბერტო ძაკერონის დატოვება-არდატოვება მკაფიოდაა ამაზე დამოკიდებული. ამ თემაზე საუბარი „სიენას“ 4:0 ძლევის შემდეგ ახალი ძალით განახლდა, რადგან „შავ-ლურჯებმა“, ბევრი იტალიელი მიმომხილველის აზრით, ამ დღეს მიმდინარე სეზონის საუკეთესო ფეხბურთი ითამაშეს. ერთი სიტყვით, შეგძლებიათო, თქვენ ძმაგებმა.

შეგახსენებთ, რომ ძაკერონი „სან სიროზე“ [illegible] არგენტინელი კუპერის გათავისუფლების შემდეგ მოვიდა და თავიდან, როგორც ახალმა ცოცხმა, კარგი შედეგები მოიტანა, მაგრამ მერე წაიფორხილა და, ფაქტობრივად, დაკარგა ჩემპიონობის შანსი.

მაგრამ სკუდეტო თუ არ იქნება, საგაისო ჩემპიონთა ლიგა მაინც უნდა იყოს და თუ ეს არ გამოვიდა, მაშინ შავ-ლურჯ სამყაროში ახალ მწვრთნელს უნდა ველოდოთ.

და უკვე ასახელებენ გვარებს. ამბობენ, რომ ალბერტო ძაკერონის მოხსნის შემთხვევაში მის ადგილს დაიკავებს „ლაციოს“ დღევანდელი თავკაცი რობერტო მანჩინი ან „რომას“ მწვრთნელი, მრავალი ტიტულის მომგები ფაბიო კაპელო — ერთი სიტყვით, ვინმე დედაქალაქიდან. თუმცა, კაპელოზე მეტად ამ ხმების გამავრცელებლები მანჩინიზე აკეთებენ აქცენტს, რადგან „ლაციოს“ ფინანსურად უჭირს და ამდენად მწვრთნელის მომავალი გარანტირებული არ არის, თანაც „სამპდორიას“ ყოფილ ლეგენდას გასულ ზაფხულს უკვე მიეზომნენ ინტერელები, ოღონდ მაშინ მანჩინის „ლაციოსთან“ ხუთწლიან კონტრაქტზე ხელი ახალი მოწერილი ჰქონდა.

**პაპუნა ქედია**



ბრუნო ჩირილო: აი, ტუჩი...

# დომინიკის აზრები

## ჩირილომ მატერაცი ტელევიზიით ჩაუშვა

*თუ გახსოვთ, სერია A-ს წინა ტურის შემდეგ იტალიელი ჟურნალისტის, დომინიკ ანტონიონის მიერ ჩამოწერილი შეფასებები შემოგთავაზეთ. მიმომხილველი გვიზიარებდა თავის შეხედულებებს იმ ფეხბურთელებზე, რომლებმაც, მისი აზრით, იმ ტურში თავი რამენაირად გამოიჩინეს. ახლა იმავეს ბოლო, მე-19 ტურის გარშემო გთავაზობთ*



ალვარო რეკობა

ადრიანო (*„ინტერი“*) — იგი ზანტი და მოუქნელი ჩანს, მაგრამ კვირა საღამოს „სიენას“ მცველებისთვის ნამდვილი კოშმარი გამოდგა. სიენელებს მის წინააღმდეგ ბრძოლა ისე გაუჭირდათ, რომ დაჯარიმებასაც ვერ ახერხებდნენ, ბრაზილიელი პირდაპირ გაურბოდათ. ერთი სიტყვით, 22 წლის ადრიანო გაცილებით სჯობს იმ ვიერის, რომელიც ოდესღაც მისი ტოლი გახლდათ, თუმცა ქათინაურები მაინც ჯობს მილანური დერბის დღისთვის შემოვინახოთ. აი, თუ იქაც გამოიჩინა თავი...

ალვარო რეკობა (*„ინტერი“*) — პატარა ურუგვაელი „ინტერის“ გადამდგარი პრეზიდენტის, მასიმო მორატის და მისი ოჯახის საყვარელი ფეხბურთელია და ეჭვი არ არის, „სიენას“ კარში მის მიერ შეგდებული გოლით ფრიად ისიამოვნეს. რეკობასგან სამხრეთამერიკული ფინტები და ჯადოქრობები „სან სიროზე“ ადრეც გვინახავს, მაგრამ ამ კვირას იგი უკანაც ჩარბოდა და მოწინააღმდეგეებს ბურთის ასართმევად ებრძოდა.

ლუიჯი დი ბიაჯო (*„ბრეშა“*) — მე არ გახლავართ იმ მიმომხილველთა შორის, რომლებიც დი ბიაჯოს ნაკრებში დაბრუნებას ითხოვენ, მაგრამ მისი გაყიდვით „ინტერმა“ რომ წააგო, ფაქტია. მე-19 ტურში კი „ბრეშას“ ამ ნახევარმცველმა „რომასთან“ შეხვედრაში თავი ნამდვილ ლიდერად წარმოაჩინა.

როკე ჟუნიორი (*„სიენა“*) — როდესაც ამ ბრაზილიელს „მილანში“ თამაშის დროს აკრიტიკებდნენ, მისი მხარდამჭერნი კრიტიკას იმ სერიოზული არგუმენტით იგერიებდნენ, რომ როკე ჟუნიორი, არც მეტი, არც ნაკლები, მსოფლიოს ჩემპიონია. შემდეგ ის „ლიდსში“ წავიდა და შერცხვა, ხოლო იტალიაში, კერძოდ კი „სიენაში“ დაბრუნებულმა პირველივე შეხვედრა ჩააგდო — მისი ბრალი იყო „ინტერის“ მეორე გოლი, ხოლო შემდეგ, პენალტზე ალარაფერს ვამბობთ.

ბრუნო ჩირილო (*„სიენა“*) — ჩირილომ როგორც იქნა გამოიჩინა თავი სერია A-ში: მისი გადაწყვეტილება, ტელესტუდიაში დასისხლიანებული პირით მისულიყო, მთლად ლამაზად არ გვეჩვენება. ამით იმას კი არ ვამბობთ, თითქოს არ გვჯერა, რომ მარკო მატერაციმ უსინდისოდ ჩაარტყა, უბრალოდ ვფიქრობთ, რომ რამდენი ჩირილოს ვინმე დაარტყამს, იმდენი სახელმწიფო ტელევიზიის ეკრანზე გამოვიდეს, სწორი არ იქნება.

მარკო მატერაცი (*„ინტერი“*) — მისმა შეჯახებამ ბრუნო ჩირილოსთან, „ინტერი“ უფრო დააზარალა, ვიდრე ასარგებლა, რადგან იგი შეიძლება კარგა ხნით დასაჯონ, მაშინ, როდესაც „შავ-ლურჯებს“ მცველი სჭირდება.

**პაპუნა ქედია**

# უეფამ რუსეთი უელსში არ გაცვალა

**რუსეთ-უელსის** საქმის გარჩევა გუშინ უეფაში გაგრძელდა. შეგახსენებთ, რომ დოპინგ-ტესტზე გამოჭერილი ეგორ ტიტოვის დისკვალიფიკაციის შემდეგ უელსის ფეხბურთის ასოციაციას რუსებთან კარდიფული მატჩის შედეგის (0:1) გაუქმება უეფას ხელით სურდა. ბრიტანელებმა დოპინგიანი ტიტოვის გამო თავის სასარგებლოდ 3:0-ის ჩათვლა მოითხოვეს და საჩივარი უეფელთა დისციპლინარულ კომიტეტში აფრინეს.

გუშინ ნიონში სხდომა გაიმართა და სარჩელი განიხილეს. კრება დაახლოებით ორ საათს გაგრძელდა. ნიონშივე იმყოფებოდა ვიაჩესლავ კოლოსკოვი, ოღონდ სხდომას მხოლოდ კომიტეტის წევრები ესწრებოდნენ და იქ დაინტერესებული მხარეები არ დაუშვეს.

ორსაათიანი განხილვის შედეგად დისციპლინარებმა უელსელთა პროტესტი არ დააკმაყოფილეს, რაც ნიშნავს, რომ ევრო 2004-ზე რუსეთის ნაკრები ითამაშებს.

ბრიტანელებს გადაწყვეტილების ხელახლა გასაჩივრების შანსი კიდევ აქვთ. მათ შეუძლიათ, დისციპლინარების დადგენილება უეფასივე სააპელაციო კომიტეტში გააპროტესტონ და თუ მაინც თავისას ვერ მიაღწიეს, მაშინ მხოლოდ ერთი გზა რჩება — უეფას ალმასკომი.

საეჭვოა, რომ პორტუგალიაში რუსეთის ნაცვლად უელსი გაუშვან, რადგან დისკვალიფიკაცია ნადოპინგარ ფეხბურთელზე ვრცელდება და არა ნაკრებზე ან კლუბზე.

მოსკოვის „სპარტაკმა“ გასული კვირის ბოლოს უეფაში სასჯელის შესამსუბუქებლად წერილობითი სარჩელი გააგზავნა, ტიტოვის ბედი 20 თებერვლამდე გაირკვევა.

**გაჟა ხუციშვილი**



ეგორ ტიტოვი



# დეფო ტოტენჰემში

## მეოთხე ძვირიანი ტრანსფერი

**ბევრს** უნდოდა „ვესტ ჰემის“ საუკეთესო თავდამსხმელის, ჯერმეინ დეფოს შეძენა, მაგრამ სატრანსფერო ფანჯარა ისე იხურებოდა გუშინ საღამოს, რომ 21 წლის მეგოლე კვლავაც პირველი დივიზიონის გუნდში რჩებოდა. „არსენალი“ და „მანჩესტერი“ თითქოს რაღაცას ხლაფორთობდნენ, მაგრამ ბოლო დღეს ყველას აჯობა „ტოტენჰემის“ პატრონმა დენიელ ლევიმ, რომელმაც დეფოში 7 მილიონი გირვანქა გაიმეტა და ზედ იმედისმომცემი ფორვარდი ბობი ზამორაც დაამატა.

ზამორა 1,5 მილიონად მიიყვანეს „ბრაიტონიდან“, თუმც დროებითი მენეჯერის, დევიდ პლიტის ხელში მან ველარაფერს მიაღწია.

დეფოს „ვესტ ჰემიდან“ წასვლაზე ზაფხულშივე ლაპარაკობდნენ, ოღონდაც ის მაინც დარჩა პირველ დივიზიონში და ნახევარ სეზონში 15 გოლიც გაიტანა. წლეულს ის თავისუფალი აგენტი შეიქნებოდა და ამიტომ „ვესტ ჰემს“ ისედაც უნდოდა ბიჭის სარფიანად გაყიდვა.

სატრანსფერო ფანჯრის ამ ყველაზე ხმაურიანი გარიგების კვალად კი პრემიერლიგაში გვარიანი გაცვლა-გამოცვლა იყო გახურებული. მაგალითად, „ნიუკასლმა“ „ლიდსისგან“ იყიდა ტრავმებით ტანჯული თავდამსხმელი მაიკლ ბრიჯისი, ხოლო იმავე „ლიდსს“ სეზონის ბოლომდე მიაქირავა ყრმა სტივენ კოლდუელი.

„მიდლსბრომ“ ბრაზილიელი რიკარდინიო შეიძინა და სულ ბოლო წამს უთხრა უარი „ლიდსს“ მარკ ვიდუკას წაყვანაზე. საბრალო იორკშირელებმა შეინარჩუნეს მეკარე პოლ რობინსონიც, რომელიც ძალიან იაფად უნდოდა „ტოტენჰემს“.

„პორტსმუთი“ ბაზარზე გვიან გამოჩნდა და „ნიუკასლისგან“ იქირავა ლომანა ტრეზორ ლუა ლუა, ხოლო „ლესტერისგან“ მცველი ჯონ კერტისი. თავის მხრივ, „ლესტერმა“ თავდასხმის გაძლიერება გადაწყვიტა და „დერბიდან“ ლი მორისი მიიყვანა.

„ბირმინგემმა“ „ბლექბერნიდან“ გადაიბირა მარტინ ტეილორი, „ბლექბერნმა“ კი „ჰადერსფილდიდან“ თავდამსხმელი ჯონათან სტიდი.

სემ ალარდაისმა „ლივერპულთან“ ქირა გაახერხა და „ბოლტონისთვის“ მცველი ჯონ ოსტემობორი მოიპოვა სეზონის ბოლომდე. „ჩარლტონს“ სულ ასი ათასი დაუჯდა „არსენალიდან“ ყმაწვილი ნახევარმცველის, ჯერომ თომასის შესყიდვა.

მთელ ამ მისვლა-მოსვლებს უნდა დაემატოს სამი დიდი ამბავი: „ფულემიდან“ ლუი საჰას „მანჩესტერში“ გადასვლა 12,8 მილიონ გირვანქად, „სევილიიდან“ „არსენალში“ ანტონიო რეიესის მისვლა და „ჩელსისგან“ „ჩარლტონის“ სკოტ პარკერის შეძენა 10 მილიონად.

ამის შედეგად კი გამოვა, რომ ძვირიანი ტრანსფერი სულ ოთხი იყო.

**ირაკლი ბამყრელიძე**

## პორტუგალია

### სუპერლიგა. XX ტური

**ალვერკა 1:2 ბეირა მარი**

0:1 ვიინშარდი (69პ), 1:1 რონალდ გარსია (74), 1:2 სანდრო სილვა (90)

**ბენფიკა — აკადემიკა**

*წუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მე-2 გვერდზე) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუ | 20 | 16 | 4 | 0 | 45:12 | 52 |
| სპორტინგი | 20 | 15 | 2 | 3 | 39:19 | 47 |
| ბენფიკა | 19 | 12 | 4 | 3 | 38:19 | 40 |
| ბეირა მარი | 20 | 10 | 4 | 6 | 30:24 | 34 |
| ბრაგა | 20 | 10 | 4 | 6 | 22:25 | 34 |
| ბოავიშტა | 20 | 8 | 7 | 5 | 19:15 | 31 |
| ნასიონალი | 20 | 9 | 3 | 8 | 33:20 | 30 |
| მარიტიმუ | 20 | 7 | 9 | 4 | 22:20 | 30 |
| რიუ ავე | 20 | 7 | 7 | 6 | 23:18 | 28 |
| მორეირენსე | 20 | 6 | 6 | 8 | 17:24 | 24 |
| ლეირია | 20 | 6 | 5 | 9 | 24:32 | 23 |
| ჟილ ვისენტე | 20 | 5 | 7 | 8 | 28:26 | 22 |
| ბელენენსეში | 20 | 4 | 8 | 8 | 25:35 | 20 |
| ალვერკა | 20 | 5 | 4 | 11 | 20:27 | 19 |
| ფერეირა | 20 | 5 | 2 | 13 | 13:31 | 17 |
| გიმარაეში | 20 | 3 | 7 | 10 | 19:27 | 16 |
| აკადემიკა | 19 | 4 | 3 | 12 | 15:25 | 15 |
| ამადორა | 20 | 3 | 2 | 15 | 14:47 | 11 |

## იტალია

### სერია B. XXV ტური

**პიაჩენცა 2:2 პალერმო**

1:0 ლუჩენტი (42), 1:1 ტონი (49), 1:2 ნასტასე (81), 2:2 ბეგეტო (89)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ატალანტა | 25 | 11 | 13 | 1 | 33:17 | 46 |
| ტერნანა | 25 | 13 | 6 | 6 | 38:25 | 45 |
| პალერმო | 25 | 11 | 10 | 4 | 34:20 | 43 |
| მესინა | 25 | 10 | 11 | 4 | 34:25 | 41 |
| პიაჩენცა | 25 | 11 | 8 | 6 | 26:21 | 41 |
| კალიარი | 25 | 10 | 8 | 7 | 42:29 | 38 |
| ლივორნო | 25 | 9 | 11 | 5 | 31:24 | 38 |
| სალერნიტანა | 25 | 10 | 6 | 9 | 24:24 | 36 |
| ტორინო | 25 | 8 | 10 | 7 | 33:27 | 34 |
| კატანია | 25 | 9 | 7 | 9 | 33:28 | 34 |
| ტრევიზო | 25 | 8 | 10 | 7 | 28:26 | 34 |
| ასკოლი | 25 | 8 | 9 | 8 | 31:31 | 33 |
| ტრიესტინა | 25 | 8 | 9 | 8 | 32:33 | 33 |
| ფიორენტინა | 25 | 7 | 12 | 6 | 28:31 | 33 |
| პესკარა | 25 | 7 | 10 | 8 | 21:28 | 31 |
| ალბინოლეფე | 25 | 8 | 7 | 10 | 23:31 | 31 |
| ნაპოლი | 25 | 4 | 16 | 5 | 19:22 | 28 |
| ვერონა | 25 | 6 | 10 | 9 | 31:35 | 28 |
| ვიჩენცა | 25 | 5 | 11 | 9 | 21:25 | 26 |
| ბარი | 25 | 6 | 8 | 11 | 26:33 | 26 |
| ვენეცია | 25 | 5 | 11 | 9 | 20:27 | 26 |
| კომო | 25 | 5 | 8 | 12 | 19:31 | 23 |
| ჯენოა | 25 | 4 | 11 | 10 | 20:33 | 23 |
| აველინო | 25 | 1 | 10 | 14 | 19:40 | 13 |

## Copa Toyota Libertadores '2004

### სამხრეთ ამერიკა. ლიბერტადორესის თასი 2004. ჯგუფური ეტაპი

#### I ჯგუფი

პენიაროლი (ურუგვაი)
სან კაეტანო (ბრაზილია)
სთრონგესტი (ბოლივია)
ამერიკა (მექსიკა)

| | |
|---|---|
| 05.02 | სან კაეტანო — სთრონგესტი |
| 11.02 | ამერიკა — პენიაროლი |
| 19.02 | სთრონგესტი — ამერიკა |
| 02.03 | პენიაროლი — სან კაეტანო |
| 11.03 | სან კაეტანო — ამერიკა |
| 16.03 | პენიაროლი — სთრონგესტი |
| 17.03 | ამერიკა — სან კაეტანო |
| 23.03 | სთრონგესტი — პენიაროლი |
| 08.04 | სან კაეტანო — პენიაროლი |
| 08.04 | ამერიკა — სთრონგესტი |
| 15.04 | სთრონგესტი — სან კაეტანო |
| 15.04 | პენიაროლი — ამერიკა |

#### II ჯგუფი

მარაკაიბო (კოლუმბია)
ველეს სარსფილდი (არგენტინა)
ფენიქსი (ურუგვაი)
ონსე კალდასი (ჩილე)

| | |
|---|---|
| 10.02 | ველეს სარსფილდი — მარაკაიბო |
| 19.02 | ონსე კალდასი — ფენიქსი |
| 25.02 | მარაკაიბო — ონსე კალდასი |
| 25.02 | ფენიქსი — ველეს სარსფილდი |
| 03.03 | ფენიქსი — მარაკაიბო |
| 09.03 | ველეს სარსფილდი — ონსე კალდასი |
| 17.03 | ონსე კალდასი — ველეს სარსფილდი |
| 18.03 | მარაკაიბო — ფენიქსი |
| 06.04 | ველეს სარსფილდი — ფენიქსი |
| 06.04 | ონსე კალდასი — მარაკაიბო |
| 22.04 | მარაკაიბო — ველეს სარსფილდი |
| 22.04 | ფენიქსი — ონსე კალდასი |

#### III ჯგუფი

კრუზეირო (ბრაზილია)
სანტოს ლაგუნა (მექსიკა)
კარაკასი (ვენესუელა)
უნივერსიდად დე კონსეპსიონი (ჩილე)

| | |
|---|---|
| 04.02 | სანტოს ლაგუნა — კონსეპსიონი |
| 04.02 | კრუზეირო — კარაკასი |
| 10.02 | კონსეპსიონი — კრუზეირო |
| 12.02 | კარაკასი — სანტოს ლაგუნა |
| 17.02 | კრუზეირო — სანტოს ლაგუნა |
| 24.02 | კონსეპსიონი — კარაკასი |
| 02.03 | კარაკასი — კონსეპსიონი |
| 10.03 | სანტოს ლაგუნა — კრუზეირო |
| 16.03 | სანტოს ლაგუნა — კარაკასი |
| 17.03 | კრუზეირო — კონსეპსიონი |
| 15.04 | კარაკასი — კრუზეირო |
| 15.04 | კონსეპსიონი — სანტოს ლაგუნა |

#### IV ჯგუფი

კობრელოა (ჩილე)
სან პაულუ (ბრაზილია)
ლიგა უნივერსიტარია (ეკვადორი)
ალიანსა (პერუ)

| | |
|---|---|
| 10.02 | კობრელოა — უნივერსიტარია |
| 11.02 | ალიანსა — სან პაულუ |
| 25.02 | უნივერსიტარია — ალიანსა |
| 26.02 | სან პაულუ — კობრელოა |
| 04.03 | უნივერსიტარია — სან პაულუ |
| 04.03 | ალიანსა — კობრელოა |
| 10.03 | კობრელოა — ალიანსა |
| 10.03 | სან პაულუ — უნივერსიტარია |
| 24.03 | კობრელოა — სან პაულუ |
| 25.03 | ალიანსა — უნივერსიტარია |
| 07.04 | სან პაულუ — ალიანსა |
| 07.04 | უნივერსიტარია — კობრელოა |

#### V ჯგუფი

ნასიონალი (ურუგვაი)
ელ ნასიონალი (ეკვადორი)
ინდეპენდიენტე (არგენტინა)
ეკიპო პერუანო (პერუ)

| | |
|---|---|
| 12.02 | ელ ნასიონალი — ნასიონალი |
| 12.02 | ინდეპენდიენტე — ეკიპო პერუანო |
| 24.02 | ნასიონალი — ინდეპენდიენტე |
| 26.02 | ეკიპო პერუანო — ელ ნასიონალი |
| 02.03 | ინდეპენდიენტე — ელ ნასიონალი |
| 04.03 | ნასიონალი — ეკიპო პერუანო |
| 11.03 | ეკიპო პერუანო— ნასიონალი |
| 16.03 | ელ ნასიონალი — ინდეპენდიენტე |
| 23.03 | ელ ნასიონალი — ეკიპო პერუანო |
| 25.03 | ინდეპენდიენტე — ნასიონალი |
| 20.04 | ეკიპო პერუანო — ინდეპენდიენტე |
| 20.04 | ნასიონალი — ელ ნასიონალი |

#### VI ჯგუფი

ლიბერტადი (პარაგვაი)
რივერ პლეიტი (არგენტინა)
დეპორტეს ტოლიმა (კოლუმბია)
დეპორტივო ტაჩირა (ვენესუელა)

| | |
|---|---|
| 04.02 | ლიბერტადი — ტოლიმა |
| 11.02 | ტაჩირა — რივერ პლეიტი |
| 24.02 | ტოლიმა — ტაჩირა |
| 25.02 | რივერ პლეიტი — ლიბერტადი |
| 09.03 | ტაჩირა — ლიბერტადი |
| 11.03 | ტოლიმა — რივერ პლეიტი |
| 17.03 | ლიბერტადი — ტაჩირა |
| 18.03 | რივერ პლეიტი — ტოლიმა |
| 07.04 | ლიბერტადი — რივერ პლეიტი |
| 08.04 | ტაჩირა — ტოლიმა |
| 14.04 | რივერ პლეიტი — ტაჩირა |
| 14.04 | ტოლიმა — ლიბერტადი |

#### VII ჯგუფი

გუარანი (პარაგვაი)
ბარსელონა (ეკვადორი)
ხორხე უილსტერმანი (ბოლივია)
სანტოსი (ბრაზილია)

| | |
|---|---|
| 04.02 | გუარანი — ბარსელონა |
| 05.02 | უილსტერმანი — სანტოსი |
| 10.02 | ბარსელონა — უილსტერმანი |
| 18.02 | სანტოსი — გუარანი |
| 03.03 | უილსტერმანი — გუარანი |
| 03.03 | ბარსელონა — სანტოსი |
| 11.03 | სანტოსი — ბარსელონა |
| 18.03 | გუარანი — უილსტერმანი |
| 24.03 | უილსტერმანი — ბარსელონა |
| 25.03 | გუარანი — სანტოსი |
| 14.04 | სანტოსი — უილსტერმანი |
| 14.04 | ბარსელონა — გუარანი |

#### VIII ჯგუფი

ბოკა ხუნიორსი (არგენტინა)
ბოლივარი (ბოლივია)
კოლო კოლო (ჩილე)
დეპორტივო კალი (კოლუმბია)

| | |
|---|---|
| 04.02 | კოლო კოლო — დეპორტივო კალი |
| 18.02 | ბოლივარი — ბოკა ხუნიორსი |
| 02.03 | დეპორტივო კალი — ბოლივარი |
| 03.03 | ბოკა ხუნიორსი — კოლო კოლო |
| 10.03 | დეპორტივო კალი — ბოკა ხუნიორსი |
| 18.03 | ბოლივარი — კოლო კოლო |
| 24.03 | ბოკა ხუნიორსი — დეპორტივო კალი |
| 25.03 | კოლო კოლო — ბოლივარი |
| 07.04 | ბოლივარი — დეპორტივო კალი |
| 08.04 | კოლო კოლო — ბოკა ხუნიორსი |
| 21.04 | ბოკა ხუნიორსი — ბოლივარი |
| 21.04 | დეპორტივო კალი — კოლო კოლო |

#### IX ჯგუფი

კურიტიბა (ბრაზილია)
ოლიმპია (პარაგვაი)
სპორტინგ კრისტალი (პერუ)
როსარიო სენტრალი (არგენტინა)

| | |
|---|---|
| 05.02 | ოლიმპია — როსარიო |
| 10.02 | სპორტინგ კრისტალი — კურიტიბა |
| 17.02 | კურიტიბა — ოლიმპია |
| 26.02 | როსარიო — სპორტინგ კრისტალი |
| 04.03 | როსარიო — კურიტიბა |
| 09.03 | სპორტინგ კრისტალი — ოლიმპია |
| 10.03 | კურიტიბა — როსარიო |
| 16.03 | ოლიმპია სპორტინგ კრისტალი |
| 23.03 | სპორტინგ კრისტალი — როსარიო |
| 06.04 | ოლიმპია — კურიტიბა |
| 13.04 | კურიტიბა — სპორტინგ კრისტალი |
| 13.04 | როსარიო — ოლიმპია |

# აფრიკის ეროვნებათა თასი 2004
## ტუნისი. 24 იანვარი — 14 თებერვალი

# ლომივით კამერუნს ალჟირი კატასავით მიჰყვა



კამერუნი — ეგვიპტე. კამერუნელ მოდესტ მბამის ბურთი უკნიდან მოპარეს

**A ჯგუფი III ტური**

**რუანდა 1:0 კონგოს დრ**

1:0 მაკასი (74)

**ტუნისი 1:1 გვინეა**

1:0 ბენაშური (58), 1:1 ტ. კამარა (84)

**B ჯგუფი. III ტური**

**ბურკინა ფასო 0:3 კენია**

0:1 აკუ (50), 0:2 ოლიეში (63), 0:3 ბარაზა (83)

გაძევება: უედრაოგო (76, ბურკინა ფასო)

**სენეგალი 1:1 მალი**

1:0 დ. ტრაორე (34), 1:1 ბეიე (45)

**C ჯგუფი. III ტური**

**ალჟირი 1:2 ზიმბაბვე**

0:1 ა. ნდლოვუ (65), 0:2 ლუპჰალა (71), 1:2 აშიუ (73)

**კამერუნი 0:0 ეგვიპტე**

მეოთხედფინალში მასპინძლებთან დაჯახება დიდად სახარბიელო არავისთვისაა. სენეგალმა პირველ ტურში ბურკინა-ფასოსთან უგოლო ფრით საქმე თავადვე გაირთულა და წაგებულის გამოსწორებას მალისთან ეცადა. მალელებმა ტურნირის დასაწყისშივე დაამტკიცეს, რომ ხელწამოსაკრავინი არ არიან. ფრედერიკ კანუტის გარეშე მოთამაშე ანრი სტამბულის გუნდი სენეგალსაც ტოლ-სწორად შეეჭიდა, საბოლოოდ კი დაუზავდა. ჯგუფში პირველი ადგილი დაიბევა და მეოთხედფინალში გვინეას შეხვდება, თავის მხრივ, გი სტეფანის სენეგალს ტუნისთან ნერვების წეწვა მოუწევს.

მალელთაგან კანუტის შემცვლელი აბდულაიე დემბა გამოირჩეოდა, რომელმაც ტონი სილვას კართან პირველმა შექმნა მომენტი. მისი დარტყმული ლამის დაიტამ ხაზიდან გამოიტანა. ამას ელ-ჰაჯი დიუფის გასროლილი მოჰყვა, რომელსაც მაჰამადუ სიდიბემ აუღო.

ანგარიში დრამანე ტრაორემ შესვენებამდე ათი წუთით ადრე გახსნა და ეს ტონი სილვას შეცდომის მოჰყვა, ტრაორეს თავით დარტყმული ბურთი სენეგალელთა მეკარემ ხელში ვერ შეიმაგრა.

პირველი ტაიმის მიწურულს, როცა ფეხბურთელებს თვალი გასახდელისკენ ეჭირათ, მალის კარისკენ საჯარიმო დაინიშნა — სალიფ დიაოს ჩაწოდებულს მარსელელმა მცველმა ჰაბიბ ბეიემ თავი საგოლედ შეაგება. ეს ბეიეს პირველი სანაკრებო გოლი აღმოჩნდა.

მეორე ნახევარში მეტოქეები ფეხს ითრევდნენ და ძალებს ზოგავდნენ, რადგან ჯგუფიდან მათი გასვლა გადაწყვეტილი იყო.

ნამატჩევს გი სტეფანიმ თქვა: „მთავარია, რომ მეოთხედფინალში ვართ, თუმც კი მიზნად გამარჯვება და პირველი ადგილი გვქონდა. ბიჭებს შეეძლოთ თამაშის დროს მომატება, მაგრამ მეტისმეტი ოფლის ღვრა ტუნისთან მატჩამდე დაგვასუსტებდა. სამწუხაროა, რომ ორი-სამი აშკარა მომენტი გოლად ვერ ვაქციეთ."

მალის მწვრთნელი ანრი სტამბული, ცხადია, გახარებული იყო. მისი გუნდი გვინეას დაუპირისპირდება, რომელსაც მალამდე სტამბული თავკაცობდა: „ძალიან სასიამოვნოა, როცა ჯგუფურ ეტაპს დაუმარცხებლად ასრულებ, თან იცილებ ტუნისთან შეჯახებას. გარდა ამისა, არანაკლებ მიხარია ის, რომ დისკვალიფიცირებულები და ტრავმირებულები არ გვყავს. გვინეელებს კარგად ვიცნობ, რადგან მათი მწვრთნელი ვიყავი და ჩემს ხელში გაიარეს, ვფიქრობ, საინტერესო ბრძოლა გაიმართება."

ისტორიული ამბავი მოხდა ქალაქ ბიზერტში, სადაც ბურკინაფასომ კენიასთან წააგო. კენიელები ეროვნებათა თასზე მეხუთედ მონაწილეობენ და პირველი მატჩი მოიგეს. ბურკინელებმა ტურნირი სენეგალთან ფრით დაიწყეს, რაც ერთგვარი მოულოდნელობა იყო, თუმც საბოლოოდ ისინი კენიელებმა ბოლო ადგილზე დასვეს.

ბურკინა-ფასოს დაწინაურება 25-ე წუთზე შეეძლო, როცა მუმუნი დაგანომ შორიდან გაისროლა. ბურთს მეკარე დანკან ოჩიენგი ვერ მისწვდა, თუმც საქმეში ძელი ჩაერია და კენიელები იხსნა.

შემდეგ ბურკინელებს გოლის გატანა ენდრიუ ოიომბემ არ დაანება, რომელმაც კარის ხაზთან შექმნილ არეულობაში ბურთის გამოძევება მოახერხა.

თავის მხრივ ორი მომენტი კენიასაც ჰქონდა — მაიკ ოკოტისა და ტიტუს მულამის დარტყმულები მოჰამედ კაბორიმ მოიგერია.

შესვენების შემდეგ ჯეკობ მულის გუნდი გააფთრებით დააცხრა მეტოქეს და ხუთ წუთში წინააღმდეგობა გატეხა. დენის ოლიეჩმა, რომელსაც მწვრთნელი ძალიან აქებდა, ტურნირის დაწყებიდან ბოლო ტურის მატჩში გაილაღა, ორი საგოლე პასი მიითვალა და ერთიც თავად გაიტანა.

კენიელთა თავკაცი ჯეკობ მული: „ძალიან ბედნიერი ვარ, ოდესლაც ხალხი გაიხსენებს, რომ ჩვენ ტუნისში ისტორიული, პირველი გამარჯვება მოვიპოვეთ, თუმც იმავდროულად აქაურობის ნაადრევად დატოვება საწყენია. ჩვენ უკეთესი მოსამზადებელი პირობები რომ გვქონოდა, ვფიქრობ, შედეგიც უკეთესი იქნებოდა."

მწვრთნელმა ოლიეჩზე და თავის მომავალზეც თქვა ორიოდ სიტყვა: „ოლიეჩმა ამჯერად გუნდისთვის ითამაშა, პირველ ორ შეხვედრაშიც ასე უნდა ებურთავა. ყოველდღიურად 50-მდე ჟურნალისტი აწუხებდა და სამომავლო გეგმებზე ეკითხებოდა. ამგვარი ყურადღების ქვეშ მყოფ ფეხბურთელს კონცენტრაცია უჭირდა."

ჯეკობ მულიმ დასძინა, ქვეყნის ფეხბურთის ფედერაცია გარჯას ალბათ დამიფასებს და მუშაობის გაგრძელებას საშუალებას მომცემსო, წინააღმდეგ შემთხვევაში, ალბათ გავგიჟდებიო.

C ჯგუფის გუშინდელ მატჩებში სამ გუნდს მეოთხედფინალში გასვლის შანსი ჰქონდა.

კამერუნელ ლომებს ეგვიპტესთან ფრეც აწყობდა, კიდეც მიაღწია სასურველ შედეგს. ეგვიპტელები მეტოქეზე მეტად ცდილობდნენ, რაკილა ჯგუფიდან მხოლოდ გამარჯვების შემთხვევაში გადიოდნენ. პირველ ტაიმში მათ ორი-სამი კარგი მომენტი ჰქონდათ, არაბებმა ძალიან იოლად შეაღწიეს მოწინააღმდეგის საჯარიმოში, მაგრამ სიზუსტე აკლდათ. ერთხელ „ლომთა" მცველები აირივნენ და გოლს რომ გადაურჩნენ, მერე ჩბუხი ერთმანეთს დაუწყეს.

თავის მხრივ კამერუნელებიც ცდილობდნენ შეტევებს, თუმც თვალი დაცვისკენ უფრო ეჭირათ.

მეორე ტაიმში ტარეკ ელ საიედის დარტყმული ძელმა მოიგერია, აჰმედ ბელალს კი მეკარემ აუღო. მსაჯის მიერ დამატებულ დროში არაბებს კიდევ ერთი შანსი მიეცათ, მაგრამ ვერც ის გამოიყენეს.

ეგვიპტის მწვრთნელი მოჰსენ სალაჰმა პოსტიდან წასვლის შესახებ განცხადება ნამატჩევს გააკეთა: „მე ვფიქრობ, რომ ძალიან კარგად და მიზანმიმართულად ვმუშაობდი, თუმც ჯგუფიდან უიღბლობის გამო ვერ გავედით. ვიმედოვნებ, ჩემი შემცვლელი უკეთეს შედეგს მიაღწევს."

კამერუნელთა მეტოქე დღეს გაირკვევა.

ალჟირელები თითქოს ზიმბაბვემ დაბანგა. ისე დაზოზინებდნენ მოედანზე, თითქოს მეოთხედფინალსა და ნახევარფინალში კი არა, ფინალში გასვლა ჰქონოდათ გარანტირებული. ამიტომაც წააგეს ჯგუფის მაჩანჩალასთან. თუმც ამ მაჩანჩალამ, რომელიც საბოლოოდ მეოთხე ადგილზე დარჩა, იმდენივე გაიტანა, რამდენიც კამერუნმა და მეტი, ვიდრე ალჟირმა და ეგვიპტემ ცალ-ცალკე. მიუხედავად ამისა, ზიმბაბვეს საკმაოდ მებრძოლ-სიმპათიური გუნდი ტურნირს მიღმა დარჩა.

ალჟირმა წააგო ზიმბაბვესთან და ოთხი ქულით მეოთხედფინალში მაინც გაძვრა, რადგან ეგვიპტეზე მეტი (4) გატანილი აღმოაჩნდა. ეს გოლი შეხვედრის დასრულებამდე 17 წუთით ადრე ჰოსინ აშიუმ თავით გაიტანა.

აღსანიშნავია, რომ ზიმბაბველები მთელი მატჩის განმავლობაში მეტოქეზე უკეთ თამაშობდნენ და გამარჯვება დაიმსახურეს, თუმც ალჟირელებს ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელები აკლდათ.

ადამ ნდლოვუმ ანგარიში მეორე ტაიმში გახსნა, კუთხურიდან ჩაწოდებულ ბურთს თავი საგოლედ შეაგება. მოგვიანებით, ჟოელ ლუპჰალამ იხეირა, რომელმაც მოწინააღმდეგე კონტრშეტევაზე გამოიჭირა და საჯარიმოში შესულმა მეკარეს ბურთი თავზე გადაავლო.

„ეს ერთგვარი სასწაული იყო — თქვა ნამატჩევს ალჟირის მწვრთნელმა რაბაჰ საადანემ — რადგან შესუსტებული შემადგენლობით მოთამაშე ჩემმა გუნდმა რთულ ვითარებაში მეოთხედფინალში გამსვლელი გოლის გატანა მაინც მოახერხა."

ზიმბაბველთა პიტერ ნდლოვუმ თავის მხრივ აღნიშნა: „ჩვენ ტურნირზე პირველად მოვხვდით და პირველი გამარჯვებაც მივითვალეთ. მთავარი ისაა, რომ ბევრი რამ ვისწავლეთ და მომდევნო თასის გათამაშებაზე თუ მოვხვდით, უკეთეს ფეხბურთს ვაჩვენებთ."

**ვაჟა ხუციშვილი**



ტანგო ზიმბაბვურად

**საბოლოო ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტუნისი | 3 | 2 | 1 | 0 | 6:2 | 7 |
| გვინეა | 3 | 1 | 2 | 0 | 4:3 | 5 |
| რუანდა | 3 | 1 | 1 | 1 | 3:3 | 4 |
| კონგოს დრ | 3 | 0 | 0 | 3 | 1:6 | 0 |

*ტუნისი და გვინეა გავიდნენ მეოთხედფინალში*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მალი | 3 | 2 | 1 | 0 | 7:3 | 7 |
| სენეგალი | 3 | 1 | 2 | 0 | 4:1 | 5 |
| კენია | 3 | 1 | 0 | 2 | 4:6 | 3 |
| ბურკინა ფასო | 3 | 0 | 1 | 2 | 1:6 | 1 |

*მალი და სენეგალი გავიდნენ მეოთხედფინალში*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კამერუნი | 3 | 1 | 2 | 0 | 6:4 | 5 |
| ალჟირი | 3 | 1 | 1 | 1 | 4:4 | 3 |
| ეგვიპტე | 3 | 1 | 1 | 1 | 3:3 | 4 |
| ზიმბაბვე | 3 | 1 | 0 | 2 | 6:8 | 3 |

*კამერუნი და ალჟირი გავიდნენ მეოთხედფინალში*

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| მბომა (კამერუნი) | 4 |
| დუშ სანტუში (ტუნისი) | 3 |
| პ. ნდლოვუ (ზიმბაბვე) | 3 |
| კანუტი (მალი) | 3 |
| ტ. კამარა (გვინეა) | 3 |
| ნომვეტე (სამხრეთ აფრიკა) | 2 |
| ნიანგი (სენეგალი) | 2 |
| ოდემვინგი (ნიგერია) | 2 |
| აშიუ (ალჟირი) | 2 |

# ვერო კაცი

## პიერლუიჯი კოლინა



*დაიბადა 1960 წლის 13 თებერვალს ბოლონიაში*
*სიმაღლე: 1988*
*წონა: 75 კგ*
*პროფესია: ფინანსისტ-კონსულტანტი*
*პირველი სანაკრებო მატჩი: ჰოლანდია — გერმანია (1996)*
*კარიერის მწვერვალები: 1996 წლის ოლიმპიადის ფინალის მსაჯი, 1999 წლის ჩემპიონთა ლიგის ფინალის მსაჯი, 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალის მსაჯი*

„ფიფა მაგაზინის" 25 კითხვა პიერლუიჯი კოლინას

**— რას ნიშნავს თქვენთვის ფეხბურთი?**

— ეს დიდი თამაში ბავშვობაში შემიყვარდა და თავი მის გარეშე ვერ წარმომიდგენია. მსაჯობის წლებში კი უამრავი რამ ვისწავლე.

**— ბავშვობაში რომელ გუნდს ქომაგობდით?**

— როგორც ბოლონიელი, ბუნებრივია, თავიდან „ბოლონიას" ვუჭერდი მხარს, მაგრამ კარგა ხანს „ლაციოს" გულშემატკივარიც გახლდით. თუმცა როგორც ქომაგს უფრო კალათბურთი მიტაცებს. ჩვენთან, ბოლონიაში ორი გუნდია და მათ შორის დიდი ბრძოლები იმართება ხოლმე.

**— კერპი თუ გყოლიათ?**

— ბავშვობაში ლიბეროდ ან ცენტრალურ მცველად ვთამაშობდი, ხოლო იმ ეპოქას უდიდესი ლიბერო, ფრანც ბეკენბაუერი ჰყავდა.

**— ვინ არის მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი დღეს?**

— შემიძლია ჩამოვთვალო — ზიდანი, რონალდო, ბექემი, რაული, ნედვედი, რობერტო კარლოსი... შემიძლია განვაგრძო. როგორც იტალიელს, შემიძლია ხანგრძლივი და გამორჩეული კარიერის შემოქმედი პაოლო მალდინი დავასახელო.

**— რომელი გუნდი თამაშობს ყველაზე მიმზიდველ ფეხბურთს?**

— 2003 წლის 8 აპრილს ტელევიზიით „რეალისა" და „მანჩესტერ იუნაიტედის" თამაში ვნახე, (3:1), დიდებული მატჩი იყო!

**— თქვენი უმშვენიერესი საფეხბურთო მოგონება...**

— 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალი. ბრაზილიის და გერმანიის ის მატჩი, მე ვიმსაჯე, იმ დღის განცდა არასდროს დამავიწყდება.

**— ყველაზე დიდი საფეხბურთო იმედგაცრუება...**

— ძალიან იღბლიანი კაცი ვარ და იმედგაცრუებები არ მქონია. ალბათ, ყველაზე ცუდი დღე 24 წლისას მქონდა, როდესაც თმა გამცვივდა. ბევრმა ისიც კი იფიქრა, მსაჯობას ველარ გააგრძელებსო.

**— თქვენი საყვარელი მუსიკა...**

— გუნება-განწყობას გააჩნია. მიყვარს ოპერა, მიყვარს ბევრი იტალიელი მომღერალი, მაგრამ მიყვარს ფრედი მერკური და ელტონ ჯონიც.

**— თქვენი საყვარელი წიგნი...**

— წიგნი კი არა, ავტორი — ჯონ გრიშემი.

**— თქვენი საყვარელი ფილმი...**

— „ფორესტ გამპი" და „სამართებლის პირზე მორბენალი".

**— თქვენი საყვარელი ქალაქი...**

— ბარსელონა

**— როგორი საჭმელი გიყვართ?**

— ნებისმიერი მაკარონი.

**— თქვენი ჰობი?**

— თავისუფალ დროს ოჯახთან ვატარებ, მაგრამ ამას ჰობად არ ვთვლი.

**— ვინ იქონია კაცობრიობის ისტორიაზე ყველაზე დიდი გავლენა?**

— იესო ქრისტემ.

**— თქვენი ძლიერი მხარე რა არის?**

— როგორც მსაჯი მუდმივად განვითარებას ვცდილობ, ამიტომ ყველაფერზე მნიშვნელოვანი მომზადებაა.

**— თქვენი სისუსტე...**

— [illegible]

**— ქალებში რა თვისებები მოგწონთ?**

— ის თვისებები, რაც მომწონს, ცოლად შევირთე: გონიერება, სინაზე, შარმი და აქტიურობა.

**— კაცებში?**

— იტალიელები ვამბობთ სიტყვას „ვერო", ანუ ნაღდი.

**— ფულს მეტწილად რაში ხარჯავთ?**

— არაფერი მაქვს ამოჩემებული.

**— რისი გეშინიათ?**

— ადამიანის ცხოვრება ყოველ წამს შეიძლება რაიმე მისგან დამოუკიდებელმა შეცვალოს. ასეთ დროს წინააღმდეგობა ძნელია.

**— მსოფლიოს მომავალს როგორ ხედავთ?**

— როგორც ორი ქალიშვილის მამა, ვიმედოვნებ, რომ ისინი იმ პრობლემებს, რომელთაც ჩვენ დღეს ვაწყდებით, არ გადაეყრებიან.

**— რას ნიშნავს თქვენთვის მსოფლიოს მშვენიერება?**

— მშვენიერება სუბიექტურია, მაგრამ როდესაც უცქერ, გულისცემა გიხშირდება.

**— არდადეგებს სად გაატარებდით?**

— მიყვარს მზე და დარი, ამიტომ დასასვენებლად ასეთ ადგილებს ვირჩევ, ბედნიერი ვარ, რომ ვიარეჯოში, სადაც ვცხოვრობ, კარგი ზღვაა და მაისიდან ოქტომბრამდე სითბოა. ზამთარში, ჩვეულებრივ, ტენერიფეზე მივდივარ, კანარის კუნძულებზე.

**— ყველაზე მეტად ვისთან შეხვედრას ისურვებდით?**

— ყველაზე ძლიერ რომის პაპთან მსურდა შეხვედრა და საბედნიეროდ, შევხვდი კიდეც.

**— ვინ გახდება 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონი?**

— იმედი მაქვს მსაჯების გუნდი.

# ბარსელონას ჰარი პოტერი

*ფრანკ რაიკარდის „ბარსელონამ" პრიმერადივიზიონის 22-ე ტურში შთამბეჭდავი გამარჯვება იზეიმა — „კამპ ნოუზე" ნასტუმრები „ალბასეტე" კატალონიელებმა 5:0 გაანადგურეს. „ბარსას" პორტუგალიელი რიკარდო კვარესმა 1 თებერვლის საგოლე ფიესტით აღტაცებულია და თავის სამომავლო წარმატებაშიც მტკიცედ არის დარწმუნებული. „კამპ ნოუზე" ერთ-ერთი გოლის ავტორ კვარესმას, მეტსახელად „ჰარი პოტერს", ესპანური „ლიბრედირექტო" ესაუბრა*

**— ბედნიერი ხართ „ალბასეტესთან" მატჩის შემდეგ?**

— დიახ, რა თქმა უნდა. მიხარია, რომ გუნდმა მოწინააღმდეგე პირწმინდად დაამარცხა. ჩემმა გოლმაც ძალიან გამაბედნიერა.

**— ჰარი პოტერს რატომ გეძახიან?**

— ვერ გეტყვით, პორტუგალიაში შემარქვეს, მაგრამ რატომ, დღესაც არ ვიცი.

**— თამაშის მსვლელობისას პაკო პენიას შეეჯახეთ და შეშფოთებულმა იწჩადამ თქვენს თავზე სისხლიც შენიშნა. ამჟამად გაწუხებთ ტკივილი?**

— სრულებითაც არა. პენია მართლაც მძლავრად დამეტაკა, მაგრამ საბედნიეროდ, ყველაფერი კარგად დასრულდა.

**— ბოლოს და ბოლოს, „ბარსამ" ჩვეულ სტილში იზეიმა საპრიმერო გამარჯვება...**

— მართალს ამბობთ. „ალბასეტესთან" მოსაგებად ყველამ თავდაუზოგავად ვითამაშეთ, თუმც, ჩემი აზრით, სხვა გამოსავალი არც გვქონდა. „სარაგოსასთან" „კოპა დელ რეიზე" წაგებული შეხვედრა გვაიძულებდა, 22-ე ტურში უკომპრომისო ბრძოლა გაგვეჩაღებინა. გულშემატკივარს უნდა ენახა, რომ „ბარსა" არც ისე სუსტი გუნდია.

**— თქვენი გოლის შესახებ მოგვითხრეთ...**

— როგორც უკვე აღვნიშნე, ჩემთვის უმთავრესი კლუბის გამარჯვებაა. კმაყოფილი ვარ კატალონიური გრანდის ხუთ გოლში კვარესმას გატანილიც რომ ურევია.

**— ჩემპიონატის ცხრილში გუნდი უკვე მიუახლოვდა ლიდერთა პოზიციებს. „ბარსას" საამსეზონო გეგმებში რა შედის?**

— თქვენს მიერ ნახსენებ ცხრილში, რაც შეიძლება, წინ გაჭრა. ორი ქულა გვაშორებს საჩემპიონთალიგო ადგილებს და ყველანაირად ვეცდებით, მომავალ წელს ევროპის ყველაზე პრესტიჟული ტურნირის მონაწილეები ვიყოთ.

**— შეგიძლიათ, 2003-2004-ის სეზონის მეოთხეადგილოსნები გახდეთ?**

— მეოთხე, მეორე... ჩემთვის ამას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს, მთავარია, დღევანდელ უჩვეულო კრიზისს მალე დავაღწიოთ თავი. დარჩენილი მატჩების უმრავლესობაში აუცილებლად უნდა გავიმარჯვოთ.

**— როგორია ამჟამად კვარესმას „ბარსასადმი" დამოკიდებულება?**

— რატომ მეკითხებით? რასაკვირველია, უკიდურესად დადებითი. ვიცი, ამ გუნდში დიდი წარმატებების თანამონაწილე გავხდები.

**— შეგუების პერიოდი ხომ არ გაგიძნელდათ?**

— პორტუგალიიდან 19 წლისა წამოვედი და ვიცოდი, რომ პრიმერადივიზიონთან შეგუება ადვილი საქმე არ იქნებოდა. თუმც დღეს პირველი სიძნელეები უკვე გადავლახე და ნელ-ნელა „კამპ ნოუს" ჩემს შესაძლებლობებსაც სრულად ვაჩვენებ.



რიკარდო კვარესმა

# ზამთრის ტრანსფერები 2004

ეროვნული ბიბლიოთეკა

## იტალია

### სერია A

#### ანკონა

წავიდნენ

ანდრეა სუსი (ბოლონია)
ეუსებიო დი ფრანჩესკო (პერუჯა)
დანიელე დეგანო (პარმა)
დარიო უბნერი (პერუჯა)
ალესიო სკარპი (ჯენოა)
პაოლო პოჯი (ვენეცია)

მოვიდნენ

დინო ბაჯო (ბლექბერნი, ინგლისი)
კორადო გრაბი (ბლექბერნი, ინგლისი)
მარიო ჟარდელი (ბოლტონი, ინგლისი)
ლუიჯი სარტორი (რომა)
მაგნუს ჰედმანი (სელტიკი, შოტლანდია)

#### ბოლონია

წავიდნენ

ჟუარესი (სიენა)

მოვიდნენ

ჰიდეტოში ნაკატა (პარმა)
ანდრეა სუსი (ანკონა)

#### ბრეშა

წავიდნენ

ანტონიო ფილიპინი (პალერმო)

მოვიდნენ

პაოლო კასტელინი (ტორინო)

#### კიევო

წავიდნენ

ჯონ მენსა (მოდენა)
დანიელე ფრანჩესკინი (ლეჩე)
ივონე დე ფრანჩესკი (ბარი)

მოვიდნენ

ლუსიანო (ინტერი)
სეზარი (ფლუმინენსე, ბრაზილია)

#### ემპოლი

წავიდნენ

არავინ

მოვიდნენ

იგლი ვანუკი (პალერმო)

#### ინტერი

წავიდნენ

ლუსიანო (კიევო)
ალესანდრო პოტენცა (პარმა)
ნიკოლა ბეატი (ტრიესტინა)

მოვიდნენ

ადრიანო (პარმა)
დეიან სტანკოვიჩი (ლაციო)

#### იუვენტუსი

წავიდნენ

ედგარ დავიდსი (ბარსელონა, ესპანეთი)
რუბენ ოლივერა (ატლეტიკო, ესპანეთი)
მარსელო ზალაიეტა (პერუჯა)
სალვატორე ფრეზი (პერუჯა)

მოვიდნენ

არავინ

#### ლაციო

წავიდნენ

დეიან სტანკოვიჩი (ინტერი)

მოვიდნენ

არავინ

#### ლეჩე

წავიდნენ

ალესანდრო ბუდელი (ჯენოა)

მოვიდნენ

უილიამ დალმა (გრენობლი, საფრანგეთი)
დანიელე ფრანჩესკინი (კიევო)

#### მილანი

წავიდნენ

რივალდო (კრუზეირო, ბრაზილია)

მოვიდნენ

ნიკოლა პოცი (ჩეზენა)

#### მოდენა

წავიდნენ

არავინ

მოვიდნენ

მასიმო მარაცინა (სამპდორია)
ჯონ მენსა (კიევო)
დავიდ ლიმბერსკი (პლზენი, ჩეხეთი)

#### პარმა

წავიდნენ

ადრიანო (ინტერი)
ჰიდეტოში ნაკატა (ბოლონია)
ჟუნიორი (სიენა)
ემანუელე ფილიპინი (პალერმო)

მოვიდნენ

იანის ზიკუ (დინამო, რუმინეთი)
ალესანდრო პოტენცა (ინტერი)
დანიელე დეგანო (ანკონა)

#### პერუჯა

წავიდნენ

ფაბიო გროსო (პალერმო)
ზისის ვრიზასი (ფიორენტინა)
ჯოვანი ტედესკო (ჯენოა)

მოვიდნენ

ეუსებიო დი ფრანჩესკო (ანკონა)
დარიო უბნერი (ანკონა)
სალვატორე ფრეზი (იუვენტუსი)
ალეხანდრო ფერნანდესი (ატლეტიკო, ესპანეთი)
კრისტიან მანფრედინი (ფიორენტინა)
ფაბრიციო რავანელი (დანდი, შოტლანდია)
მარსელო ზალაიეტა (იუვენტუსი)

#### რეჯინა

წავიდნენ

ლეონი (ფიორენტინა)

მოვიდნენ

ჯანლუკა კომოტო (ფიორენტინა)

#### სამპდორია

წავიდნენ

მასიმო მარაცინა (მოდენა)

მოვიდნენ

ჯაკომო ჩიპრიანი (პიაჩენცა)
ფლორო ფლორესი (ნაპოლი)
ბიაჯიო პაგანო (ატალანტა)

#### სიენა

წავიდნენ

დანიელე დელი კარი (ფიორენტინა)

მოვიდნენ

ჟუარესი (ბოლონია)
როკე ჟუნიორი (ლიდსი, ინგლისი)
ჟუნიორი (პარმა)

#### უდინეზე

წავიდნენ

თომას მანფრედინი (ფიორენტინა)
მოჰამედ გარგო (ჯენოა)

მოვიდნენ

არავინ

## ინგლისი

### პრემიერლიგა

#### არსენალი

წავიდნენ

მორის ვოლცი (ფულემი)
სტათის ტავლარიდისი (ლილი, საფრანგეთი)
რამი შაბანი (ვესტ ჰემი)
ჟერომ ტომასი (ჩარლტონი)

მოვიდნენ

ხოსე ანტონიო რეიესი (სევილია, ესპანეთი)

#### ასტონ ვილა

წავიდნენ

პეტერ ენკელმანი (ბლექბერნი)
მარკ კინსელა (ვესტ ბრომვიჩი)
რობ ედვარდსი (დერბი ქაუნთი)
მუსტაფა ჰაჯი (ესპანიოლი, ესპანეთი)

მოვიდნენ

ნოლბერტო სოლანო (ნიუკასლი)

#### ბირმინგემი

წავიდნენ

იოვან კიროვსკი (უცნობია)

მოვიდნენ

მარტინ ტეილორი (ბლექბერნი)

#### ბლექბერნი

წავიდნენ

კორადო გრაბი (ანკონა, იტალია)
დინო ბაჯო (ანკონა, იტალია)
მარტინ ტეილორი (ბირმინგემი)

მოვიდნენ

პეტერ ენკელმანი (ასტონ ვილა)
მაიკლ გრეი (სანდერლენდი)
ჯონ სტიდი (ჰადერსფილდი)
მარტინ ანდრესენი (სტაბეკი, ნორვეგია)

#### ბოლტონი

წავიდნენ

მარიო ჟარდელი (ანკონა, იტალია)
დელროი ფეისი (ვესტ ბრომვიჩი)

მოვიდნენ

დონოვან რიკეტსი (ვილიაჯი, იამაიკა)
ხავი მორენო (ატლეტიკო, ესპანეთი)
სტივ ჰაუი (ლესტერი)
დუაიტ პეცაროსი (უცნობია)
ჯონ ოსტემობორი (ლივერპული)

#### ჩარლტონი

წავიდნენ

მათიას სვენსონი (ნორვიჩი)
სკოტ პარკერი (ჩელსი)

მოვიდნენ

ჟერომ ტომასი (არსენალი)

#### ჩელსი

წავიდნენ

სებასტიან კნეისლი (დანდი, შოტლანდია)

მოვიდნენ

სკოტ პარკერი (ჩარლტონი)

#### ევერტონი

წავიდნენ

არავინ

მოვიდნენ

არავინ

#### ფულემი

წავიდნენ

ენდი მელვილი (ვესტ ჰემი)
ჯონ ჰარლი (ვესტ ჰემი)
ლუი საჰა (მანჩესტერ იუნაიტედი)

მოვიდნენ

ბრაიან მაკბრაიდი (კოლუმბუსი, აშშ)
მორის ვოლცი (არსენალი)
კარლოს ბოკანეგრა (ჩიკაგო, აშშ)
იან პირსი (ვესტ ჰემი)
ბობი პეტა (სელტიკი, შოტლანდია)
ჯონ კოლინზი (ტვენტე)

#### ლიდსი

წავიდნენ

სირილ შაპუი (სტრასბური, საფრანგეთი)
როკე ჟუნიორი (სიენა, იტალია)
დიდიე დომი (უცნობია)
ზუმანა კამარა (უცნობია)
მაიკლ ბრიჯისი (ნიუკასლი)

მოვიდნენ

სტივენ კოლდუელი (ნიუკასლი)

#### ლესტერი

წავიდნენ

ტრევორ ბენჯამინი (ბრაიტონი)
სტივ ჰაუი (ბოლტონი)
ჯონ კერტისი (პორტსმუთი)

მოვიდნენ

პეტერ კანერო (კილმარნოკი, შოტლანდია)
სტივ გაპი (სელტიკი, შოტლანდია)
ნიკოს დაბიზასი (ნიუკასლი)
შტეფან ფროინდი (ლაუტერნი, გერმანია)
ლი მორისი (დერბი ქაუნთი)

#### ლივერპული

წავიდნენ

გრეგორი ვინალი (ესპანიოლი, ესპანეთი)
ჯონ ოსტემობორი (ბოლტონი)

მოვიდნენ

არავინ

#### მანჩესტერ სიტი

წავიდნენ

დარენ ჰაკერბი (ნორვიჩი)
ეიალ ბერკოვიჩი (პორტსმუთი)
დევიდ სიმენი (თამაში მიატოვა)
დავიდ სომეილი (მარსელი, საფრანგეთი)

მოვიდნენ

დევიდ ჯეიმსი (ვესტ ჰემი)
არნი არასონი (რუსენბორგი, ნორვეგია)
დანიელ ვან ბუიტენი (მარსელი, საფრანგეთი)

#### მანჩესტერ იუნაიტედი

წავიდნენ

ფაბიენ ბარტეზი (მარსელი, საფრანგეთი)
დანიელ ნარდიელო (ბარნსლი)

მოვიდნენ

ლი მარტინი (უიმბლდონი)
დონგ ფანჟუ (დალიან შიდი, ჩინეთი)
ლუი საჰა (ფულემი)

#### მიდლსბრო

წავიდნენ

ალან რაიტი (შეფილდ იუნაიტედი)
მარკ უილსონი (შეფილდ უენსდი)

მოვიდნენ

რიკარდინიო (სან პაულუ, ბრაზილია)

#### ნიუკასლი

წავიდნენ

კარლ კორტი (ვულვერჰემპტონი)
ნიკოს დაბიზასი (ლესტერი)
ნოლბერტო სოლანო (ასტონ ვილა)
გარი კოლდუელი (ჰიბერნიანი, შოტლანდია)
სტივენ კოლდუელი (ლიდსი)
ლომანა ტრეზორ ლუა ლუა (პორტსმუთი)

მოვიდნენ

მაიკლ ბრიჯისი (ლიდსი)

#### პორტსმუთი

წავიდნენ

ბორის ჟივკოვიჩი (შტუტგარტი, გერმანია)
კარლ რობინსონი (შეფილდ იუნაიტედი)

მოვიდნენ

ეიალ ბერკოვიჩი (მანჩესტერ სიტი)
იგორ მიტრესკი (სპარტაკი, რუსეთი)
ივიცა მორნარი (ანდერლეხტი, ბელგია)
პეტრი პასანენი (აიაქსი, ჰოლანდია)
სებასტიან ოლშარი (უცნობია)
რიჩარდ დაფი (სუონსი)
ლომანა ტრეზორ ლუა ლუა (ნიუკასლი)
ჯონ კერტისი (ლესტერი)

#### საუთჰემპტონი

წავიდნენ

პოლ ჯოუნსი (ვულვერჰემპტონი)
კრის მარსდენი (კონტრაქტი გაწყვიტა)

მოვიდნენ

პოლ სმიტი (ბრენტფორდი)
სტივენ კრეინი (სელტიკი, შოტლანდია)

#### ტოტენჰემი

წავიდნენ

კაზუიუკი ტოდა (უცნობია)
მილენკო აჩიმოვიჩი (ლილი, საფრანგეთი)
ჯონათან ბლონდელი (ბრიუგე, ბელგია)
ბობი ზამორა (ვესტ ჰემი)

მოვიდნენ

მაიკლ ბრაუნი (შეფილდ იუნაიტედი)
ჯერმენ დეფო (ვესტ ჰემი)

#### ვულვერჰემპტონი

წავიდნენ

დინ სტარიჯი (შეფილდ იუნაიტედი)
კევინ კუპერი (სანდერლენდი)

მოვიდნენ

კარლ კორტი (ნიუკასლი)
პოლ ჯოუნსი (საუთჰემპტონი)
იონ განია (ბურსასფორი, თურქეთი)

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ინგლისი** | | | | | | |
| | | **პრემიერლიგა. XXIV ტური** | | | | | | |
| | | **7 თებერვალი** | | | | | | |
| 19.00 | 001 | ასტონ ვილა-ლიდსი | 1,5 | 3,8 | 6,0 | 1,07 | 1,2 | 2,32 |
| 19.00 | 002 | ბოლტონი-ლივერპული | 2,8 | 3,2 | 2,35 | 1,49 | 1,27 | 1,35 |
| 19.00 | 003 | ევერტონი-მანჩესტერი | 5,3 | 3,5 | 1,6 | 2,1 | 1,22 | 1,09 |
| 19.00 | 004 | მიდლსბრო-ბლექბერნი | 2,0 | 3,2 | 3,5 | 1,23 | 1,27 | 1,67 |
| 19.00 | 005 | ნიუკასლი-ლესტერი | 1,35 | 4,2 | 8,0 | 1,02 | 1,15 | 2,75 |
| 19.00 | 006 | საუთჰემპტონი-ფულემი | 2,0 | 3,2 | 3,5 | 1,23 | 1,27 | 1,67 |
| 19.00 | 007 | ტოტენჰემი-პორტსმუთი | 1,55 | 3,6 | 5,6 | 1,08 | 1,21 | 2,19 |
| 19.00 | 008 | ვულვერჰემპტონი-არსენალი | 7,0 | 3,8 | 1,45 | 2,46 | 1,2 | 1,04 |
| | | **8 თებერვალი** | | | | | | |
| 18.00 | 009 | სიტი-ბირმინგემი | 2,2 | 3,2 | 3,1 | 1,3 | 1,28 | 1,57 |
| 20.05 | 010 | ჩელსი-ჩარლტონი | 1,35 | 4,2 | 8,0 | 1,02 | 1,15 | 2,75 |
| | 011 | ჩელსი-ჩარლტონი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,7 | | | |
| | | **გერმანია** | | | | | | |
| | | **ბუნდესლიგა. XIX ტური** | | | | | | |
| | | **7 თებერვალი** | | | | | | |
| 18.30 | 014 | შალკე-მიუნხენი | 1,7 | 3,4 | 4,6 | 1,13 | 1,24 | 1,95 |
| 18.30 | 015 | ვოლფსბურგი-დორტმუნდი | 2,4 | 3,2 | 2,7 | 1,37 | 1,27 | 1,46 |
| 18.30 | 016 | ჰამბურგი-ბოხუმი | 1,85 | 3,3 | 3,8 | 1,18 | 1,24 | 1,76 |
| 18.30 | 017 | მიონხენგლადბახი-ვერდერი | 3,3 | 3,2 | 2,1 | 1,62 | 1,28 | 1,26 |
| 18.30 | 018 | კაიზერსლაუტერნი-კიოლნი | 1,75 | 3,4 | 4,2 | 1,15 | 1,23 | 1,87 |
| 18.30 | 019 | ლევერკუზენი-აინტრახტი | 1,3 | 4,6 | 9,0 | 1,01 | 1,13 | 3,04 |
| | 020 | ლევერკუზენი-აინტრახტი 0:1 | 1,75 | 3,2 | 3,0 | | | |
| 18.30 | 021 | ჰანზა-ფრაიბურგი | 1,9 | 3,3 | 3,6 | 1,2 | 1,24 | 1,72 |
| | | **8 თებერვალი** | | | | | | |
| 20.30 | 022 | ბაიერნი-ჰანოვერი | 1,25 | 5,0 | 10,0 | 1 | 1,11 | 3,33 |
| | 023 | ბაიერნი-ჰანოვერი 0:1 | 1,65 | 3,3 | 3,3 | | | |
| 20.30 | 024 | ჰერტა-შტუტგარტი | 3,2 | 3,2 | 2,15 | 1,6 | 1,28 | 1,28 |
| | | **იტალია. სერია A. XX ტური** | | | | | | |
| | | **7 თებერვალი** | | | | | | |
| 21.00 | 026 | კიევო-ლეჩე | 1,7 | 3,2 | 5,0 | 1,11 | 1,26 | 1,95 |
| 23.30 | 027 | უდინეზე-ბოლონია | 1,9 | 2,7 | 4,8 | 1,11 | 1,36 | 1,72 |
| | | **8 თებერვალი** | | | | | | |
| 18.00 | 028 | ემპოლი-სიენა | 2,25 | 2,7 | 3,5 | 1,22 | 1,36 | 1,52 |
| 18.00 | 029 | მილანი-პერუჯა | 1,15 | 6,0 | 14,0 | 1 | 1,06 | 4,19 |
| | 030 | მილანი-პერუჯა 0:1 | 1,45 | 3,4 | 4,2 | | | |
| 18.00 | 031 | მოდენა-ანკონა | 1,4 | 3,8 | 7,5 | 1,02 | 1,17 | 2,52 |
| 18.00 | 032 | პარმა-ლაციო | 2,5 | 2,9 | 2,8 | 1,34 | 1,32 | 1,42 |
| 18.00 | 033 | რეჯინა-ბრეშა | 2,25 | 2,7 | 3,5 | 1,22 | 1,36 | 1,52 |
| 18.00 | 034 | სამპდორია-ინტერი | 3,1 | 2,9 | 2,35 | 1,49 | 1,33 | 1,29 |
| 23.30 | 035 | რომა-იუვენტუსი | 2,45 | 2,9 | 2,8 | 1,32 | 1,3 | 1,42 |
| | | **ესპანეთი** | | | | | | |
| | | **I დივიზიონი. XXIII ტური** | | | | | | |
| | | **7 თებერვალი** | | | | | | |
| 22.30 | 038 | ვალენსია-ატლეტიკო | 1,55 | 3,5 | 6,0 | 1,07 | 1,23 | 2,21 |
| 00.30 | 039 | რეალი-მალაგა | 1,22 | 5,0 | 11,0 | 1 | 1,09 | 3,43 |
| | 040 | რეალი-მალაგა 0:1 | 1,6 | 3,3 | 3,4 | | | |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **8 თებერვალი** | | | | | | |
| 20.00 | 041 | ესპანიოლი-ვალიადოლიდი | 2,4 | 3,2 | 2,7 | 1,37 | 1,27 | 1,46 |
| 20.00 | 042 | ალბასეტე-დეპორტივო | 3,4 | 3,2 | 2,05 | 1,64 | 1,27 | 1,24 |
| 20.00 | 043 | სევილია-მალიორკა | 2,0 | 3,1 | 3,6 | 1,21 | 1,28 | 1,66 |
| 20.00 | 044 | ბილბაო-მურსია | 1,45 | 3,8 | 7,0 | 1,04 | 1,2 | 2,46 |
| 20.00 | 045 | რასინგი-ბეტისი | 2,3 | 3,1 | 3,0 | 1,32 | 1,3 | 1,52 |
| 20.00 | 046 | სელტა-ვილიარეალი | 2,3 | 3,2 | 2,9 | 1,33 | 1,28 | 1,52 |
| 22.00 | 047 | ოსასუნა-ბარსელონა | 2,6 | 3,1 | 2,5 | 1,41 | 1,27 | 1,38 |
| 24.00 | 048 | სარაგოსა-სოსიედადი | 2,6 | 3,1 | 2,5 | 1,41 | 1,27 | 1,38 |
| | | **ინგლისი. თასი. IV ეტაპი** | | | | | | |
| | | **4 თებერვალი** | | | | | | |
| 23.45 | 340 | ფულემი-ევერტონი | 1,85 | 3,2 | 3,8 | 1,17 | 1,24 | 1,73 |
| 23.45 | 341 | ტელფორდი-მილუოლი | 5,0 | 3,5 | 1,6 | 2,05 | 1,21 | 1,09 |
| 23.45 | 342 | ტოტენჰემი-სიტი | 1,9 | 3,2 | 3,6 | 1,19 | 1,24 | 1,69 |
| | | **შოტლანდია** | | | | | | |
| | | **ლიგის თასი. 1/2 ფინალი (ნეიტრ.)** | | | | | | |
| | | **5 თებერვალი** | | | | | | |
| 24.00 | 352 | ჰიბერნიანი-რეინჯერსი | 9,0 | 5,0 | 1,25 | 3,21 | 1,09 | 1 |
| | | **გერმანია** | | | | | | |
| | | **თასი. 1/4 ფინალი** | | | | | | |
| | | **4 თებერვალი** | | | | | | |
| 23.30 | 356 | ალემანია-ბაიერნი | 5,0 | 3,5 | 1,6 | 2,05 | 1,21 | 1,09 |
| | | **იტალია. თასი. 1/2 ფინალი. I მატჩები** | | | | | | |
| | | **4 თებერვალი** | | | | | | |
| 24.00 | 357 | იუვენტუსი-ინტერი | 1,95 | 3,0 | 3,8 | 1,18 | 1,28 | 1,67 |
| | | **5 თებერვალი** | | | | | | |
| 24.00 | 358 | მილანი-ლაციო | 1,8 | 3,1 | 4,2 | 1,13 | 1,26 | 1,78 |
| | | **ესპანეთი** | | | | | | |
| | | **თასი. 1/2 ფინალი. I მატჩები.** | | | | | | |
| | | **4 თებერვალი** | | | | | | |
| 24.00 | 359 | რეალი-სევილია | 1,25 | 4,8 | 10,0 | 1 | 1,11 | 3,24 |
| | | **5 თებერვალი** | | | | | | |
| 24.00 | 360 | ალავესი-სარაგოსა | 2,3 | 3,1 | 2,9 | 1,32 | 1,28 | 1.49 |
| | | **საფრანგეთი** | | | | | | |
| | | **ლიგის თასი. 1/2 ფინალი** | | | | | | |
| | | **4 თებერვალი** | | | | | | |
| 24.00 | 362 | სტ.ეტიენი-სოშო | 2,9 | 3,1 | 2,3 | 1,49 | 1,28 | 1,32 |
| | | **ჰოლანდია** | | | | | | |
| | | **თასი. 1/4 ფინალი** | | | | | | |
| | | **4 თებერვალი** | | | | | | |
| 22.30 | 364 | პსვ-ბრედა | 1,2 | 5,6 | 10,0 | 1 | 1,07 | 3,58 |
| 23.00 | 365 | უტრეხტი-ჰერაკლესი | 1,25 | 5,3 | 8,0 | 1,01 | 1,08 | 3.18 |
| 23.30 | 366 | ტვენტე-ფეიენოორდი | 2,7 | 3,2 | 2,35 | 1,46 | 1,25 | 1,35 |
| | | **ბელგია** | | | | | | |
| | | **თასი. 1/4 ფინალი. I მატჩები** | | | | | | |
| | | **4 თებერვალი** | | | | | | |
| 23.00 | 368 | სერკლი-მუსკრონი | 2,6 | 3,2 | 2,4 | 1,43 | 1,24 | 1,37 |
| 23.30 | 369 | ბევერენი-ბეერსხოტი | 1,95 | 3,3 | 3,4 | 1,22 | 1,23 | 1,67 |
| 23.30 | 370 | ანდერლეხტი-ჰეუსდენი | 1,15 | 6,0 | 12,5 | 1 | 1,05 | 4,05 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ლიბერტადორესის თასი** | | | | | | |
| | | **4 თებერვალი** | | | | | | |
| 00.30 | 374 | გუარანი-ბარსელონა | 1,7 | 3,3 | 4,2 | 1,12 | 1,21 | 1,84 |
| 03.45 | 375 | კრუზეირო-კარაკასი | 1,1 | 6,0 | 12,5 | 1 | 1,01 | 4,05 |
| | | **5 თებერვალი** | | | | | | |
| 01.30 | 376 | სან კაეტანო-სტრონგესტი | 1,2 | 5,0 | 9,0 | 1 | 1,05 | 3,21 |
| 01.30 | 377 | ვილსტერმანი-სანტოსი(ბრ.) | 3,6 | 3,2 | 1,8 | 1,69 | 1,19 | 1,15 |
| 03.45 | 378 | ოლიმპია-როსარიო | 2,0 | 3,1 | 3,3 | 1,21 | 1,24 | 1,59 |
| | | **აფრიკის თასი** | | | | | | |
| | | **4 თებერვალი** | | | | | | |
| 21.00 | 381 | მაროკო-ს.აფრიკა | 2,0 | 3,1 | 3,3 | 1,21 | 1,24 | 1,59 |
| 21.00 | 382 | ნიგერია-ბენინი | 1,1 | 5,6 | 12,5 | 1 | 1,01 | 3,86 |
| | | **ჰოკეი. NHL** | | | | | | |
| | | **4 თებერვალი** | | | | | | |
| 04.00 | 1011 | რეინჯერსი-მინესოტა | 1,8 | 3,8 | 3,1 | 1,22 | 1,13 | 1,7 |
| 04.00 | 1012 | ფილადელფია-ვაშინგტონი | 1,55 | 3,8 | 4,4 | 1,1 | 1,14 | 2,03 |
| 05.30 | 1013 | დალასი-კოლამბუსი | 1,55 | 3,8 | 4,4 | 1,1 | 1,14 | 2,03 |
| 06.00 | 1014 | ფინიქსი-ფლორიდა | 2,0 | 3,6 | 2,8 | 1,28 | 1,16 | 1,57 |
| 06.30 | 1015 | ედმონტონი-სტ.ლუისი | 2,35 | 3,5 | 2,35 | 1,4 | 1,17 | 1,4 |
| 07.30 | 1016 | ანაჰაიმი-კაროლინა | 2,0 | 3,6 | 2,8 | 1,28 | 1,16 | 1,57 |
| | | **კალათბურთი. ევროლიგა** | | | | | | |
| | | **4 თებერვალი** | | | | | | |
| 21.00 | 1141 | ულქერი-ციბონა | 1,35 | 10,0 | 2,6 | 1,18 | 1 | 2,06 |
| 21.10 | 1142 | პანათინაიკოსი-სიენა | 1,3 | 10,0 | 2,8 | 1,15 | 1 | 2,18 |
| 21.10 | 1143 | შლიონსკი-ტაუ | 1,85 | 10,0 | 1,75 | 1,56 | 1 | 1,48 |
| 22.40 | 1144 | ალბა-ეფესი | 2,8 | 10,0 | 1,3 | 2,18 | 1 | 1,15 |
| 23.40 | 1145 | კრკა-უნიკახა | 2,0 | 10,0 | 1,5 | 1,66 | 1 | 1,3 |
| 23.40 | 1146 | ვალენსია-ვილერბანი | 1,05 | 10,0 | 5,3 | 1 | 1 | 3,46 |
| 23.40 | 1147 | სკიპერი-ცსკა | 1,7 | 10,0 | 1,9 | 1,45 | 1 | 1,59 |
| | | **5 თებერვალი** | | | | | | |
| 23.10 | 1148 | მაკაბი-ჟალგირისი | 1,2 | 10,0 | 3,3 | 1,07 | 1 | 2,59 |
| 23.10 | 1149 | აეკ-ბარსელონა | 1,85 | 10,0 | 1,75 | 1,56 | 1 | 1,48 |
| 23.10 | 1150 | ოლიმპიაკოსი-ბენეტონი | 1,8 | 10,0 | 1,8 | 1,52 | 1 | 1,52 |
| 23.40 | 1151 | პარტიზანი-პო ორტეზი | 1,25 | 10,0 | 3,1 | 1,11 | 1 | 2,36 |
| 23.40 | 1152 | ოლიმპია-რომა | 1,45 | 10,0 | 2,3 | 1,26 | 1 | 1,86 |
| | | **კალათბურთი. NBA** | | | | | | |
| | | **4 თებერვალი** | | | | | | |
| 04.00 | 1164 | ბოსტონი-კლიპერსი | 1,4 | 10,0 | 2,4 | 1,22 | 1 | 1,93 |
| 04.00 | 1165 | ვაშინგტონი-მემფისი | 1,85 | 10,0 | 1,75 | 1,56 | 1 | 1,48 |
| 04.00 | 1166 | ტორონტო-ორლანდო | 1,25 | 10,0 | 3,1 | 1,11 | 1 | 2,36 |
| 04.30 | 1167 | ატლანტა-მინესოტა | 2,6 | 10,0 | 1,35 | 2,06 | 1 | 1,18 |
| 04.30 | 1168 | ნიუ ჯერსი-მაიამი | 1,15 | 10,0 | 4,0 | 1,03 | 1 | 2,85 |
| 05.00 | 1169 | ნიუ ორლეანი-დალასი | 2,0 | 10,0 | 1,5 | 1,66 | 1 | 1,3 |
| 05.00 | 1170 | კლივლენდი-ლეიკერსი | 1,85 | 10,0 | 1,65 | 1,56 | 1 | 1,41 |
| 05.30 | 1171 | ჰიუსტონი-მილუოკი | 1,3 | 10,0 | 2,8 | 1,15 | 1 | 2,18 |
| 06.00 | 1172 | ფინიქსი-პორტლენდი | 1,7 | 10,0 | 1,9 | 1,45 | 1 | 1,59 |
| 06.00 | 1173 | იუტა-ჩიკაგო | 1,12 | 10,0 | 4,4 | 1 | 1 | 3,05 |

## ტურში გატანილი გოლების რაოდენობა

| | | | |
|---|---|---|---|
| 07.02 19.00 | 6001 | ინგლისი პლ (XXIV) | 25 და ნაკლები – 1,9; 27 და მეტი – 1,9 |
| 07.02 18.30 | 6002 | გერმანია ბლ (XIX) | 25 და ნაკლები – 1,9; 27 და მეტი – 1,9 |
| 07.02 21.00 | 6003 | იტალია A (XX) | 23 და ნაკლები – 1,9; 25 და მეტი – 1,9 |
| 07.02 22.30 | 6004 | ესპანეთი Iდ (XXIII) | 25 და ნაკლები – 1,9; 27 და მეტი – 1,9 |
| 06.02 24.00 | 6005 | საფრანგეთი Iდ (XXIII) | 21 და ნაკლები – 1,9; 23 და მეტი – 1,9 |
| 06.02 01.30 | 6006 | პორტუგალია სლ (XXI) | 22 და ნაკლები – 1,9; 24 და მეტი – 1,9 |
| 07.02 21.00 | 6007 | ბელგია Iდ (XXI) | 25 და ნაკლები – 1,9; 27 და მეტი – 1,9 |

# ჩემპიონები და თასის აღება

**9001**
**ინგლისი (07.02)**
მანჩესტერი 1,9
არსენალი 1,9
ჩელსი 5,0

**9002**
**გერმანია (07.02)**
ბაიერნი 1.6
ვერდერი 2,8
შტუტგარტი 5,0
ლევერკუზენი 7,0

**9003**
**იტალია (07.02)**
მილანი 1,55
იუვენტუსი 3,4
რომა 4.4

**9004**
**ესპანეთი (07.02)**
რეალი 1,3
ვალენსია 3,8
დეპორტივო 7,5

**9005**
**საფრანგეთი (07.02)**
მონაკო 1,3
ლიონი 3,8
პსჟ 12,0

**9006**
**პორტუგალია (07.02)**
პორტუ 1,08
სპორტინგი 5,0
ბენფიკა 15,0

**9007**
**ჰოლანდია (08.02)**
აიაქსი 1,35
პსვ 2,5

**9008**
**ავსტრია (21.02)**
აუსტრია 1,35
რაპიდი 4,0
გრაცერი 5,0

**9009**
**დანია (14.03)**
ბრიონდბიუ 1,3
ესბიერგი 4,0
კოპენჰაგენი 5,0

**9010**
**საბერძნეთი (08.02)**
ოლიმპიაკოსი 1,6
პანათინაიკოსი 2,0
პაოკ 6,0

**9011**
**უკრაინა (15.02)**
შახტარი 1,55
დინამო 1,95

**9020**
**ჩემპიონთა თასი (24.02)**
**რომელი ქვეყნის გუნდი აიღებს თასს**
ინგლისი 1,8
იტალია 2,5
ესპანეთი 2,9
გერმანია 9,3
საფრანგეთი 13,6

**9020**
**ჩემპიონთა თასი (24.02)**
რეალი 4,0
მანჩესტერი 4,6
იუვენტუსი 5,0
მილანი 5,0
ჩელსი 6,0
არსენალი 6,0
ბაიერნი 15,0
დეპორტივო 20,0
შტუტგარტი 25,0
მონაკო 25,0
ლიონი 30,0
პორტუ 40,0
სოსიედადი 40,0
სელტა 50,0
ლოკომოტივი 100,0
სპარტა 150,0

**9022**
**უეფას თასი (26.02)**
რომა 5,6
ვალენსია 6,0
ბარსელონა 6,0
ინტერი 6,0
ლივერპული 6,0
ნიუკასლი 8,0
პარმა 10,0
სელტიკი 12,0
მარსელი 15,0
ბორდო 25,0
მალიორკა 25,0
პსვ 25,0
ოსერი 25,0
გალათასარაი 30,0
ბრიუგე 30,0
პერუჯა 30,0
ბენფიკა 30,0
ვილიარეალი 30,0
ბეშიქთაში 30,0
სოშო 40,0
პანათინაიკოსი 40,0
რუსენბორგი 50,0
სპარტაკი 60,0
გენჩლერბირლ. 60,0
ბრიონდბიუ 60,0
გაზიანთეფი . 100,0
გროცლინი 100,0
ტეპლიცე 100,0
დნიპრო 100,0
ლევსკი 150,0
დებრეცენი 250,0
ვოლერენგა 250,0

**9031**
**NHL (05.04)**
კოლორადო 4,5
დეტროიტი 5,0
ფილადელფია 5,5
ვანკუვერი 6,0
ნიუ ჯერსი 6,5
ოტავა 7,0
ტორონტო 7,5
სტ.ლუისი 10,0
დალასი 12,0
ტამპა ბეი 20,0
ბოსტონი 20,0
ლოს ანჯელესი 20,0
სან ხოსე 25,0
რეინჯერსი 25,0
ატლანტა 30,0
კალგარი 30,0
ანაჰაიმი 35,0
მინესოტა 35,0
აილენდერსი 40,0
მონრეალი 50,0
ედმონტონი 60,0
ფინიქსი 60,0
კაროლინა 75,0
ჩიკაგო 75,0
ნეშვილი 75,0
ბუფალო 100,0
ფლორიდა 100,0
კოლამბუსი 125,0
პიტსბურგი 125,0
ვაშინგტონი 125,0

**9032**
**NBA (15.04)**
ლეიკერსი 1,65
საკრამენტო 4,5
სან ანტონიო 5,0
დალასი 8,0
ინდიანა 10,0
დეტროიტი 12,0
მინესოტა 12,0
ნიუ ჯერსი 15,0
ნიუ ორლეანი 25,0
ფილადელფია 40,0
ჰიუსტონი 50,0
ბოსტონი 60,0
დენვერი 60,0
ნიუ იორკი 60,0
პორტლენდი 60,0
ტორონტო 60,0
სიეტლი 75,0
იუტა 75,0
მილუოკი 75,0
გოლდენ სტ. 100,0
მემფისი 100,0
ფინიქსი 100,0
კლიპერსი 150,0
ორლანდო 150,0
მაიამი 200,0
ატლანტა 250,0
ვაშინგტონი 250,0
ჩიკაგო 250,0
კლივლენდი 300,0

*მსოფლიოს თასის შემდეგ საქართველოს მორაგბეთა ნაკრებს ოფიციალური შეხვედრა აღარ გაუმართავს. ათიოდ დღეში ერთა თასის გათამაშება იწყება. ბორჯღალოსანთა შანსებზე საუბარს კი ბევრი თავს არიდებს. ზოგს არგუმენტად ძველი გვარდიის წასვლა მოაქვს, ზოგიც ნაკრების სათავეში ქართველი მწვრთნელების მოსვლას უყურებს ეჭვის თვალით. ასეა თუ ისე, ახალი ქართული გუნდი გამალებით ემზადება. ხუთიოდ დღეში ლეგიონერებიც ჩამოვლენ, ერთობლივი შეკრებაც მოეწყობა და 2007 წლის მსოფლიოს თასისკენ სავალი გზაც იმ პორტუგალიით დაიწყება, შარშან რომ მოგვიგო. ქვემოთ ბორჯღალოსანთა ერთ-ერთ მთავარ მწვრთნელ მალხაზ ჭეიშვილთან ინტერვიუს გთავაზობთ*

# ქართული რაგბი ცაიტნოტშია
## გადახალისებულ ბორჯღალოსნებს პორტუგალია კარს მოადგათ



[illegible] ფოტო

მალხაზ ჭეიშვილს და ბორჯღალოსანთა სხვა მწვრთნელებს ნაკრები თავიდან აქვთ ასაწყობი

— ამჟამად ნაკრები მხოლოდ საქართველოში მოთამაშე მორაგბეთა გაფართოებული შემადგენლობით ვარჯიშობს. პორტუგალიასთან თამაშამდე დაახლოებით ერთი კვირით ადრე ლეგიონერებიც შემოგვიერთდებიან და ათი თებერვლიდან ხუთდღიან შეკრებასაც მოვაწყობთ.

**— სადღეისოდ გუნდი რა ეტაპზეა, რა სამუშაოებია ჩატარებული, ან რა დარჩა?**

— ყველა რგოლზე და სათამაშო ნიუანსზე ვმუშაობთ და აქედანვე გეტყვით, წინ კიდევ უამრავი საქმეა. დასახვეწია დერეფანსა და შერკინებაში თამაში, მოლში მოძრაობა და ასე შემდეგ. სამწუხაროდ, დროც ცოტა რჩება. იმედია, ლეგიონერების ჩამოსვლის შემდეგ წინსვლა უფრო შესამჩნევი გახდება.

**— რამდენი ლეგიონერია გამოძახებული?**

— დაახლოებით ათ კაცამდე, თუმც ზუსტად ჯერ ვერ გეტყვით. საბოლოო გადაწყვეტილებას 2-3 დღეში მივიღებთ.

**— წინასამატჩო შეკრება სად ჩატარდება?**

— ჯერ ესეც არ ვიცით. სტადიონზე ვართ დამოკიდებული. თუ ლოკომოტივის ხელმძღვანელობასთან მოვილაპარაკეთ და ძირითადი ან სათადარიგო სტადიონი დაგვითმეს, მაშინ თბილისში შევიკრიბებით. წინააღმდეგ შემთხვევაში მცხეთაში.

**— გაფართოებული შემადგენლობის შემცირება როდის მოხდება. წინასამატჩო შეკრებამდე თუ შეკრების შემდგომ?**

— სადღეისოდ 35 კაცი ვარჯიშობს, ლეგიონერების შემომატების შემდეგ იმ 25-ს დავტოვებთ, ვისაც საპორტუგალიოდ ჩავთვლით საჭიროდ.

**— მანამდე ალბათ საკონტროლო თამაშებსაც გამართავთ.**

— რა თქმა უნდა, ასეთი დღესაც ჩავატარეთ. სხვადასხვა კლუბების მოთამაშეებით დაკომპლექტებულ გუნდს სამი ოცდაათწუთიანი ტაიმი ვეთამაშეთ.

**— და რას იტყვით, როგორ გაართვა ნაკრებმა თავი თქვენს დავალებებს?**

— სიმართლე გითხრათ, რაც გვინდა, იმას ჯერ მთლიანად ვერ ახერხებენ. ვცდილობთ, ყველაფერი რაც შეიძლება მალე მოგვარდეს.

**— მწვრთნელებმა როგორ გაინაწილეთ ვალდებულებები?**

— ჯერ კონკრეტულად არ დაგვინაწილებია რგოლები, თუმც ალბათ ასე მოვიქცევით. სავარაუდოდ, მე და პაატა ნარიმანაშვილი დაცვას ჩავიბარებთ, [illegible]ვილი და მიშა ბურმგლა კი შეტევას.

**— ძველი გვარდიის წასვლა ყველაზე მეტად რომელ რგოლს შეეტყობა?**

— ალბათ მეორე ხაზს, მაგრამ ეს პრობლემა მალევე უნდა მოგვარდეს. მოდიან ახალგაზრდა ბიჭები, რომლებსაც მათი ღირსეულად შეცვლა შეუძლიათ. ერთადერთი, რაც აკლიათ, გამოცდილებაა. ეს დროის ამბავია.

**— არადა, პორტუგალიასთან ყველაზე დიდი ყურადღება სწორედ მეორე ხაზს უნდა მიექცეს. შარშან ხომ თამაში შერკინების ხარჯზე მოგვიგეს...**

— პორტუგალიას ჩვენთვის არ მოუგია. ის თამაში თავად წავაგეთ. პირადად არ მინახავს, მაგრამ მოთამაშეებს ვესაუბრე და მათი სიტყვებიდან ეს აზრი გამოვიტანე.

**— ამჯერად რის ხარჯზე უნდა მოვიგოთ?**

— დროის სიმცირის გამო საამმატჩოდ სრული მობილიზება ვერ ესწრება. ამასთან, რაგბი ნამდვილად აღარაა ის თამაში, მარტო მაყურებლის მხარდაჭერით და საბრძოლო განწყობით ფონს გახვიდე. ჩვენ მაინც ყოველმხრივ ვეცდებით, ეს უპირატესობები ანგარიშში გამოვსახოთ, მანამდე კი დარჩენილი დრო მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ.

**— ბოლოს გუნდის კაპიტან ილო ზედგინიძეზეც გკითხავთ. როგორც გავიგეთ, ის ამპლუას იცვლის.**

— ჩვენი ხედვით ილო მეორე ხაზს უფრო მოუხდება. თან თვითონაც ასე ისურვა. დარწმუნებულია, რომ მესამეზე უკეთესად მეორე ხაზში ათამაშდება. იმედია, ასეც იქნება.

**ოთარ მაღლაკელიძე**



ევროპის VI ჩემპიონატი. ვაჟები

სლოვენია. 22 იანვარი-1 თებერვალი

# გერმანიაში ფეხბურთელებს დასცინეს

*კვირას დასრულებულ ვაჟ ხელბურთელთა ევროპის ჩემპიონატში გერმანიის ნაკრების გამარჯვებამ ტრიუმფატორთა სამშობლოში ცხადია, ადეკვატური განწყობა გამოიწვია. ქომაგებმაც და ჟურნალისტებმაც ევროსარბიელზე პირველი ტიტული უდიდეს გმირობად შეაფასეს*

გერმანელი ხელბურთელები ბოლო ორ წელს ორჯერ გავიდნენ მსოფლიოს და ევროპის პირველობების ფინალში, მაგრამ ორივე გადამწყვეტ მატჩში დამარცხდნენ. ამჯერად კი სლოვენიაში მათი მომრევი ვერავინ გამოჩნდა. მართალია, ტურნირი სერბი-ჩერნოგორიელებთან წაგებით დაიწყეს, მაგრამ მერე ყველა შეხვედრა ჩვეული შეუპოვრობით ჩაატარეს და დამსახურებულადაც მოიპოვეს ჩემპიონობა.

გუნდის მწვრთნელია 1978 წლის მსოფლიოს ჩემპიონი ჰაინერ ბრანდი, რომელმაც თავის დროზე გერმანიის ნაკრებში 131-ჯერ ითამაშა და 231 გოლი გაიტანა. მწვრთნელობისას სამჯერ მოიგო ბუნდესლიგის პირველობა, 1997 წლიდან კი ეროვნულ ნაკრებს თავკაცობს. ბრანდი პირველ რიგში თავისი მოთამაშეების მორალურ სიძლიერეს აღნიშნავს: „რვა თამაში თერთმეტ დღეში — უმძიმესი დატვირთვაა და ბედნიერი ვარ, რომ ბიჭებმა ამ ჯოჯოხეთს გაუძლეს. მათ ფეხებზე ბებერები გაუჩნდათ, ისე იყვნენ გამოფიტულები, რომ ექიმის ინექციები დასჭირდათ, მაგრამ ამ ნერვიულ-ფიზიკურ დაძაბულობას მოერივნენ და მე უსაზღვროდ ვამაყობ მათი ვაჟკაცობით."

ეს ტრიუმფი თავად ბრანდისთვისაც „მძიმე" გამოდგა, რადგან მისმა გმირმა ბიჭებმა აიძულეს, თავისი საფირმო ჯაგარა ულვაში მოეპარსა.

ყოველდღიური გაზეთი „ბილდი" თანამემამულე ხელბურთელთა ზეისტორიულ წარმატებას შესატყვისი დითირამბებით გამოეხმაურა და საკმაოდ დამცინავი პარალელი გაავლო ფეხბურთთან. თურმე საუკეთესო გერმანელი ხელბურთელი დანიელ შტეფანი წელიწადში 288 ათას ევროს იღებს ჯამაგირად და კიდევ 60 ათასს რეკლამით. შესადარებლად, მიუნხენის „ბაიერნის" ერთ-ერთი წამყვანი ფეხბურთელი მიხაელ ბალაკი — შესაბამისად 3,5 მილიონს ხელფასის სახით და 4,5 მილიონ ევროს სარეკლამო ამბებით.

ხელბურთელთა მთელმა ნაკრებმა ევროპაში პირველობით 40 000 ევრო მოინაგრა, პირადად ბალაკი კი გერმანიის ჩემპიონობით 100 000-ს მიიღებს. ჰოდა, რა გასაკვირია „ბილდის" მჭახე ზახილი — „მილიონერო ფეხბურთელებო, მიჰბაძეთ გმირ ხელბურთელებს!"

**ყველა ჩემპიონატის პრიზიორები**

| | | | |
|---|---|---|---|
| 1994 (პორტუგალია) | შვედეთი | რუსეთი | ხორვატია |
| 1996 (ესპანეთი) | რუსეთი | ესპანეთი | იუგოსლავია |
| 1998 (იტალია) | შვედეთი | ესპანეთი | გერმანია |
| 2000 (ხორვატია) | შვედეთი | რუსეთი | ესპანეთი |
| 2002 (შვედეთი) | შვედეთი | გერმანია | დანია |
| 2004 (სლოვენია) | გერმანია | სლოვენია | დანია |

**ევროჩემპიონატის შესანიშნავი შვიდეული**

ჰენინგ ფრიცი (გერმანია, 29 წლის)
ედუარდ კოკშაროვი (რუსეთი, 28)
ნიკოლა კარაბატიჩი (საფრანგეთი, 19)
ივანო ბალიჩი (ხორვატია, 24)
მიხაელ კნუდსენი (დანია, 25)
ფოლკერ ცერბე (გერმანია, 36)
ვიდ კავტიჩნიკი (სლოვენია, 19)

**მეგოლეები**

| | |
|---|---|
| მირზა ძომბა (ხორვატია) | 46 |
| ფლორიან კერმანი (გერმანია) | 45 |
| დანიელ შტეფანი (გერმანია) | 42 |

**მეკარეები**

| | |
|---|---|
| ევგენი ბუდკო (უკრაინა) | 43 |
| მიძაელ ბრუუნი (დანია) | 41 |
| ალექსეი კოსტიგოვი (რუსეთი) | 40 |

(ტყორცნათა მოგერიების პროცენტით)

**ყველაზე, ყველაზე...**

მაღალი
მარკ დრაგუნსკი (გერმანია) 214 სმ
დაბალი
სერგი კონოვალენკო (უკრაინა) 176 სმ
ივან გარსია (ესპანეთი) 176 სმ
ასაკოვანი
ანდრეი ლავროვი (რუსეთი) 41 წლის
ახალგაზრდა
ვიდ კავტიჩნიკი (სლოვენია) 19
ნიკოლა კარაბატიჩი (საფრანგეთი) 19








ახალგამომცხვარმა ევროჩემპიონმა გერმანელებმა ჯერ გვარიანად მოულხინეს და მერე მწვრთნელი ჰაინერ ბრანდი საფირმო ულვაშს გამოათხოვეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს ჩემპიონატი

3 თებერვალი. ვერის ბაღი

**სტუ-ჯეოსელი 127:58 ქუთაისი**

24:12 32:16 31:15 40:15

სტუ-ჯეოსელი: ქისტაური (9), მიქაძე (4), მარკოიშვილი (17), შანიძე (17), ჯაფარიძე (11); ლაფანაშვილი (7), გაგნიძე (13), ხეცურიანი (25), ნიკოლაძე (11), ოგანესიანი (4), ახალკაცი (9)
ქუთაისი: ცერცვაძე (9), მამისეიშვილი (2), ნიჟარაძე (8), ფურცხვანიძე (10), შანიძე (17), შავლაყაძე (7), ნარსია (5), ჯულუხაძე
მსაჯები: მაკა კუპატაძე, დავით ანდრიაძე
კომისარი: როლანდ ხომერიკი

**დინამო 96:65 მაკაბი**

21:16 15:17 27:12 33:20

დინამო: ტულუში (8), ქლენტი (22), გოგობერიშვილი (21), კილაძე, მუშკუდიანი (6); ხოშტარია (9), კეიდია (6), მინაშვილი (6), გამყრელიძე (5), ბეჟანიშვილი (5), აბულაძე (5), ლოსაბერიძე (3)
მაკაბი: ბადრიძე (7), წოწელია (19), ოთიურიძე, ვაშაკიძე (8), სუხიშვილი (15); ფიცხელაური (6), ნინოშვილი (6), კონჯარია (4)
მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, დავით ბერეკაშვილი
კომისარი: თენგიზ ქიქოძე

# უხარისხოა!
## ისევ რეკორდები და სამიანები წვიმს

ეროვნული ჩემპიონატის მესამე წრე სიახლეების თანხლებით დაიწყო. ფედერაცია შეძლებისდაგვარად ცდილობს, მდარე ჩემპიონატი რაღაცას დაამსგავსოს, პოპულარული გახადოს და საამისოდ ცენტრალური თამაშების წინასამატჩო პრესკონფერენციები შემოიღო. სხვა წვრილ-წვრილ სიახლეებთან ერთად, რაც ევროპულ ყაიდაზე გარდაქმნას ისახავს მიზნად, სათამაშო წესებმაც ევროპული ცვლილება განიცადა. კერძოდ, სადაო ბურთის მატჩში ორჯერ აგდებენ ოთხის ნაცვლად, პირველად თამაშის, შემდეგ კი მეორე ტაიმის დაწყებისას, ხოლო მეორე და მეოთხე მეოთხედების წინ იმ გუნდს გადაეცემა ბურთი, რომელიც სადაო გდებებს წააგებს.

ეს ყველაფერი კარგია და ცვლილებებს ჩვენც მივესალმებით, მაგრამ პირველივე ევროწესიანმა მატჩმა გამოაჩინა — სად ქართული და სად ნამდვილი კალათბურთი. „სტუ-ჯეოსელი" რომ „ქუთაისს" მოუგებდა, ამაზე საკუთარი სიცოცხლის ჩასვლაც შეიძლებოდა. აკი 69-ქულიანი სხვაობა ვიხილეთ და სრულიად უდონო კალათბურთიც მასთან ერთად.

ქუთათურები სულაც არ აპირებდნენ ჩემპიონატის გაგრძელებას, მათ დუბლიორთა ტურნირში გადაბარგება სურდათ, მაგრამ ფედერაციამ თითი დაუქნია, დაჯარიმდებითო და ისედაც სუსტმა იმერლებმაც მთლად უნიათო შემადგენლობით განაგრძეს ჩემპიონატი.

შედეგიც სახეზეა, ქუთაისელი ახალგაზრდები ტექნიკური უნივერსიტეტის კალათბურთელების ფონზე ისე გამოჩნდნენ, თითქოს თამაშს ახლა სწავლობდნენ.

შედეგად სტუ-მ საკუთარი, სამსეზონოდ რეკორდი — 125 ქულა გააუმჯობესა და 127 ქულით დაბომბა ქუთათურები. სხვაობის რეკორდიც მოიხსნა — ამ სეზონში 69 ქულით ჯერ არავის უმარჯვია.

მეორე მატჩიც თითქოს არ უნდა გამომდგარიყო საამო საცქერი, მაგრამ „დინამო" — „მაკაბის" პირველ ტაიმში მაინც არ მოვიწყინეთ. „მაკაბიმ" პირველ ნახევარში დიდი წინააღმდეგობა გაუწია ჩემპიონს, უმეტესად იგებდა, მაგრამ მესამე მეოთხედის შუაში საბოლოოდ გატყდა და ბოლოს განადგურდა კიდეც.

„დინამოში" დებიუტი ჰქონდა ორ კალათბურთელს — რუსთაველ რამაზ გოგობერიშვილსა და მანამდე თსუ-ელ ვალერი კილაძეს. ორივემ სასტარტოში კი დაიწყო, მაგრამ ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებული შედეგებიანობა გამოავლინეს. გოგობერიშვილი ჩვეული შესვლებითა და დიდოსტატური ტყორცნა-პასებით კი არ იდებდა თავს, ერთი შედეგიანი გარღვევაც არ განუხორციელებია — მისდგა და სამქულებიანებით აიკლო „მაკაბის" კალათი. მან 21-ვე ქულა შორეული სროლებით მოაგროვა. სწორედ რამაზის სამქულიანებმა გატეხეს წელში ჯამლეტ ხუხაშვილის გუნდი, რომელიც დასაწყისში თავადაც ხეირიანად ესროდა შორიდან, მაგრამ შემდეგ კოვზი კალათში ჩაუვარდა.

საერთოდ, ამ მატჩში 28 სამქულიანი ჩავარდა, რაც კიდევ ერთი საამსეზონო და ვინ იცის, შარშანდელი რეკორდიცაა. „დინამოს" ხორვატმა მწვრთნელმა, რომელსაც წინა ხაზში პრობლემები აქვს, გოგობერიშვილისა და კილაძის გადაბირებით ისეთი შემადგენლობა შეკრა, რომელშიც ყველას შეუძლია შორიდან სროლა — „დინამო", ასე ვთქვათ, გუნდ სნაიპერად ჩამოყალიბდა.



რამაზ გოგობერიშვილი ამიერიდან „დინამოს" მეტოქეებს გააწვალებს

**ირაკლი პერტაია**

# აბა, ქუდზე კაცი!
## ფედერაციამ საყოველთაო მობილიზაცია გამოაცხადა

*რუსთაველებმა ოთხი წამყვანი მოთამაშე დაკარგეს, მაგრამ მაინც იმდენად დიდია მათი პრესტიჟი, რომ სახელმწიფო უნივერსიტეტელებთან მათი დღევანდელი შეხვედრა ფედერაციაში ოთხშაბათის ცენტრალურ მატჩად მონათლეს.*

*არა, დღევანდელ თამაშებში ეს მატჩი უთუოდ სხვებზე გამოსარჩევია, მაგრამ თბილისელები ულაპარაკოდ მოუგებენ რუსთაველებს და ვინძლო, ამას წინასამატჩო ანონსობანა არც სჭირდება. მაგრამ წესი წესია, თანაც ცინცხალი და მას შესრულება უნდა. ჰოდა, ფედერაციის პარტნიორ კაფე „მსოფლიო სპორტში" გუშინ თსუ–„რუსთავის" წინასამატჩო პრესკონფერენცია მოეწყო და აი, რა ხდებოდა იქ...*

კაფეში მხოლოდ თსუ-ს მთავარი მწვრთნელი გია ჯავახიშვილი მოვიდა, „რუსთავისა" კი არსად ჩანდა. პრესკონფერენციას გუნდების მოთამაშეები დაესწრნენ — თბილისელი დავით საყვარელიძე და ქვემოქართლელი მიხეილ ბერუაშვილი. „რუსთავის" უფროსობიდან კლუბის დირექტორი ამირან ხაჩიძე წარსდგა ჟურნალისტთა არცთუ დიდი ამქრის წინაშე.

**გია ჯავახიშვილი:**

„ჩვენი გუნდი კარგა ხანია, შეკრებილია და მომზადებულიცაა. ვალერი კილაძე კი გამოგვაკლდა, მაგრამ ლევან ქარაბაკი და მამუკა აბრამიძე შეგვემატნენ. ქარაბაკი ჯერ მაინც არ არის ჯანზე, ის პლეი ოფისთვის დაგვემატება და პროგრამა მინიმუმის შესრულებაში, ანუ სამეულში მოხვედრაში დაგვეხმარება."

**ამირან ხაჩიძე:**

„რუსთავში ახლა ენთუზიაზმის ხარჯზე ვმუშაობთ, გუნდი ოთხივე სპონსორმა მიატოვა. ქალაქის მერია დახმარებას დაგვპირდა, მგონი, სხვა ორგანიზაციებიც ფიქრობენ რაღაცას, მაგრამ ჯერ რეალური არაფერია, ჩვენით გაგვაქვს თავი. ოთხი წამყვანი მოთამაშე — რამაზ გოგობერიშვილი, ირაკლი ჯაფარიძე, მამუკა აბრამიძე და რევაზ ჩხეიძე გუნდიდან წავიდნენ. პერ-სპექტიული ახალგაზრდები კი გვყავს, მაგრამ მაინც გაგვიჭირდება. მოკლედ, მომავლის გუნდია — ტყეშელაშვილის, არწივიძის, დანელიანის, ლიპარტელიანისა და ჩაჩუასი დიდად გვეიმედება."

დღევანდელი მატჩის პროგნოზისგან მწვრთნელებმა თავი შეიკავეს, ხვალ არ გამოჩნდებაო?!

**P.S.** ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ თამაშები მარტო თბილისში ხომ არ იმართება, ჩემპიონატს ბათუმიცა და რუსთავიც მასპინძლობს და ამ ქალაქებში გასამართმა ცენტრალურმა მატჩებმა რა დააშავეს, პრესკონფერენცია მათაც ხომ სჭირდებათ? მაგალითად, „ბასკო" „დინამოსთან" თბილისში რომ ითამაშებს, წინასამატჩო პრესკონფერენცია წინა დღით თბილისში გაიმართება. ბათუმელთა წარმომადგენელი ან წარმომადგენლები ვალდებულები იქნებიან დედაქალაქს ერთი დღით ადრე ეწვიონ, დედაქალაქი კი, მოგეხსენებათ, მთლად ორ ნაბიჯში როდია ბათუმიდან...

**ირაკლი პერტაია**



პირველი, ისტორიული წინასამატჩო საკლუბო პრესკონფერენცია: მიხეილ ბერუაშვილი, ამირან ხაჩიძე, მერაბ რატიშვილი, გია ჯავახიშვილი და დავით საყვარელიძე

NBA რეგულარული ჩემპიონატი

# შენზე ნაკლებს ტრავმა შემთხვეოდეს

## კარმელომ ლებრონის რეკორდი ერთ დღეში გაახუნა



ეროვნული ბიბლიოთეკა

კარმელო ენტონი შორს გაფრინდება

— 2 თებერვალი —

**დენვერი 116:97 პორტლენდი**

დენვერი: მილერი (12), ლენარდი (13), ენტონი (39), ნენე (20), კემბი; ვაიტი (12), ბოიკინსი (7), ანდერსენი (5), ბერი (5), ცქიტიშვილი (6 წუთი, 2 ქულა, 3 მოხსნა), ელსონი (1), ბოუენი

პორტლენდი: სტუდემაიერი (13), ანდერსონი (5), მაილზი (20), რენდოლფი (28 ქულა, 11 მოხსნა), ვოლესი (12); პატერსონი (9), პერსონი (5), ვუდსი (2), სტეფანია (4 წუთი, 1 ქულა), დევისი (1), აუთლოო (1)

**ინდიანა 85:72 ლეიკერსი**

ინდიანა: არტესტი (24), ჰარინგტონი (16)

ლეიკერსი: მედვედენკო (12)

**ატლანტა 95:101 კლიპერსი**

ატლანტა: აბდურ-რაჰიმი (20 ქულა, 10 მოხსნა), ჯეკსონი (20)

კლიპერსი: ბრენდი (22 ქულა, 12 მოხსნა), იარიჩი (20), ვილკოქსი (18)

**მემფისი 106:101 გოლდენ სტეიტი**

მემფისი: გასოლი (18), რაიტი (18)

გოლდენ სტეიტი: რიჩარდსონი (19), რობინსონი (17)

**იუტა 65:83 სან ანტონიო**

იუტა: კირილენკო (10)

სან ანტონიო: დანკანი (31 ქულა, 11 მოხსნა, 5 დაფარება)

**სიეტლი 109:97 ჩიკაგო**

სიეტლი: ალენი (27), ლუისი (20), რადმანოვიჩი (20)

ჩიკაგო: კროუფორდი (31), კარი (25)

**ფინიქსი 99:79 ჰიუსტონი**

ფინიქსი: მერიონი (31), ჯონსონი (27 ქულა, 10 პასი, 8 მოხსნა)

ჰიუსტონი: მინგი (16), მობლი (16)

**ნიუ ორლეანი 70:91 ნიუ ჯერსი**

ნიუ ორლეანი: მალუა (22 ქულა, 13 მოხსნა), არმსტრონგი (16)

ნიუ ჯერსი: კილზი (16), ჯეფერსონი (15), კიდი (14 ქულა, 12 პასი, 6 ჩაჭრა)

**მაიამი 100:102 დეტროიტი**

ძირითადი დრო 96:96

მაიამი: ჯონსი (19), ოდომი (18 ქულა, 14 მოხსნა, 7 პასი)

დეტროიტი: პრინსი (24), ბილაფსი (23), ჰამილტონი (17), უილიამსონი (17)

შენზე ნაკლებს მუხლის ტრავმა შეეყაროსო, თუ არ უთქვამს, გაუფიქრებია მაინც „დენვერის" ყრმა ლიდერ კარმელო ენტონის და კლივლენდელი დებრონ ჯეიმსის გამონათებიდან ერთ დღეში თვითონ უფრო მეტად გაცისკროვნებულა.

პირველ თებერვალს ჯეიმსმა „ვაშინგტონს" 38 ქულა ჩაუგდო და ამ ახალი რეკორდით გამოიწვია ნბა-ს ახალბედები. ენტონიმ დიდხანს არ ალოდინა, თავად „პორტლენდს" 39 ქულა აჯახა და ერთი ქულით ასწია ახალბედებისთვის სარეკორდო თამასა. ერთი სიტყვით, თუმც ჯერ ამხელა გავლენა ვერა აქვთ ლიგაზე, ეს ორი ბიჭუკელა ისე ექიშპება ერთმანეთს, როგორც ოცი წლის წინ. ზღაპრული 80-იანების გარიჟრაჟზე ლარი ბერდი და მეჯიქ ჯონსონი.

ეგაა, პრესის თავგამოდებული მცდელობის მიუხედავად, ეს სპორტული დაპირისპირება ჯერ ვერ იქცა ნბა-ში მთავარ მოვლენად. ბიჭები ერთმანეთზე აუგს არ ამბობენ და მხოლოდ კარგად დასწავლილი ზოგადი და უწყინარი კომენტარებით იფარგლებიან.

მათ ქიშპობას უთუოდ გააღვივებს „ოლ სტარის" უიქენდი (13-15 თებერვალი), რომელზეც ისინი აუცილებლად ითამაშებენ მცირე ოლ სტარში — სხვა ახალბედებთან ერთად ნბა-ს რჩეულ მეორეწლიანებს დაეჯახებიან. არსებობს რეალური შანსი, ამ ბიჭებმა დიდ „ოლ სტარიც" დააჭაშნიკონ. ასეთ შემთხვევაში ისინი ერთმანეთის მეტოქეებად გავლენ ლოსანჯელესური „სტეიპლზ სენთერის" ფიცარნაგზე — ენტონი დასავლელია, ჯეიმსი აღმოსავლელი.

ისე, ჯეიმსს მეტი შანსი აქვს, „ოლ სტარი" პირველივე სეზონში ითამაშოს, არა იმიტომ, რომ ენტონის აღემატება, უბრალოდ, აღმოსავლეთში ნაკლები ვარსკვლავია და თორმეტკაცა გუნდში მოხვედრის მეტი შესაძლებლობა არსებობს.

**კოტე ყორშია**

| აღმოსავლეთი | | | | დასავლეთი | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ატლანტიკა | | | | შუა-დასავლეთი | | | |
| ნიუ ჯერსი | 26 | 20 | 56,5 | მინესოტა | 33 | 13 | 71,7 |
| ბოსტონი | 22 | 27 | 44,9 | სან ანტონიო | 32 | 18 | 64,0 |
| ნიუ იორკი | 22 | 27 | 44,9 | დალასი | 29 | 18 | 61,7 |
| მაიამი | 21 | 28 | 42,9 | დენვერი | 29 | 26 | 58,0 |
| ფილადელფია | 20 | 28 | 41,7 | ჰიუსტონი | 26 | 21 | 55,3 |
| ვაშინგტონი | 14 | 32 | 30,4 | მემფისი | 26 | 21 | 55,3 |
| ორლანდო | 13 | 36 | 26,5 | იუტა | 24 | 24 | 50,0 |
| ცენტრალური | | | | წყნარი ოკეანე | | | |
| ინდიანა | 36 | 13 | 73,5 | საკრამენტო | 33 | 12 | 73,3 |
| დეტროიტი | 33 | 16 | 67,3 | ლეიკერსი | 28 | 17 | 62,2 |
| მილუოკი | 26 | 21 | 55,3 | სიეტლი | 23 | 23 | 50,0 |
| ნიუ ორლეანი | 26 | 22 | 54,3 | კლიპერსი | 21 | 25 | 45,7 |
| ტორონტო | 21 | 24 | 46,7 | პორტლენდი | 21 | 25 | 45,7 |
| კლივლენდი | 18 | 29 | 38,3 | გოლდენ სტეიტი | 20 | 26 | 43,5 |
| ატლანტა | 15 | 34 | 30,6 | ფინიქსი | 18 | 32 | 36,0 |
| ჩიკაგო | 13 | 36 | 26,5 | | | | |

NBA NBA NBA NBA NBA NBA NBA NBA NBA NBA



# საჩოგნე ხორცი უხორცოსთვის

**PAN PACIFIC OPEN**
ტოკიო. ჰარდი
საპრიზო 1,3 მილიონი დოლარი

**პირველი წრე**

**დანიელა ჰანტუხოვა** (8, სლოვაკეთი) — **ალიშა მოლიკი** (ავსტრალია) 6:1, 6:7 (7:9), 7:5; **მარია შარაპოვა** (რუსეთი) — **იუკა იოშიდა** (იაპონია) 6:1, 6:1; **მაგდალენა მალეევა** (ბულგარეთი) — **ლაიზა რეიმონდი** (აშშ) 4:6, 6:2, 6:3; **ლაურა გრენვილი** (აშშ) — **ალინა ჟიდკოვა** (რუსეთი) 7:5, 6:2; **საორი ობატა** (იაპონია) — **იულია ვაკულენკო** (უკრაინა) 7:5, 6:3; **ტატიანა პანოვა** (რუსეთი) — **ძენ ძი** (ჩინეთი) 6:4, 6:3; **მარია ვენტო-კაბჩი** (ვენესუელა) — **ელენა ლიხოვცევა** (რუსეთი) 6:3, 7:6 (7:5)

ავსტრალიის ღია პირველობაზე გარჯილმა ქალებმა მელბურნიდან პირდაპირ ტოკიოსკენ გაუტიეს. ამქარს იქ ვინუს უილიამსი უყოჩებს, ვინაც მელბურნში ექვსთვიანი იძულებითი შესვენების შემდეგ ჩოგანი პირველად გააქნია და მესამე წრეში თვისტომ რეიმონდს ემსხვერპლა.

საქმეში უფროსი შავდა დღეს, პირდაპირ მეორე წრიდანვე ჩაებმება და ადგილობრივ ჯილათაგან საორი ობატას დათრგუნავს. ამ ობატამ, აგერ, ანგარიშიდანვე ხედავთ, უკრაინელი იულია ვაკულენკოს აჯობა.



ვინუს უილიამსი ტოკიოში ჯერ ისვენებს

ისე სლავები ტოკიოში საერთოდაც ბლომად არიან და გუშინ სამმა რომ წააგო, ოთხმა იმარჯვა. ამათგან ყველაზე მეტი ყურადღება წანწკლა სლოვაკ დანიელა ჰანტუხოვამ მიიქცია, ვინაც ავსტრალიის ღია პირველობის მეორე წრეში მის მძლეველ ალიშა მოლიკზე იძია შური. ეს გამარჯვება ჩემთვის ძალზედ მნიშვნელოვანი იყოო, იძახდა ნამატჩევს ჰანტუხოვა.

შეგახსენებთ, რომ ეს ნიჭიერი, მაგრამ ძალზედ გამხდარი და ხორცდაფერთხილი გოგო შარშან ამ დროს, მელბურნულ მეოთხედფინალში გასვლის შემდეგ ქალთა ზეხუთეულამდეც აღზევდა, მაგრამ მერე და მერე წონის დაკლებასთან ერთად ქულებიც დააკლდა. აქედან გამომდინარე — სეზონის ბოლოს მე-19 ადგილზე რომ იყო, ახლა უკვე 32-ზეა!

სხვაფრივ — დღესვე გააქნევს ჩოგანს ტურნირის შარშანდელი ჩემპიონი ლინდსი დევენპორტიც. ის ჩოგანს ვენესუელელ ვენტო-კაბჩიზე გამოსცდის.

**სარბიელელები სამძიმარს
ვუცხადებთ ჩვენს კოლეგას
გოგი ქორქიას მეუღლის
მაკა თავზარაშვილის
გარდაცვალების გამო**



NHL რეგულარული ჩემპიონატი

# უკბილო ველურებმა კბილები გამოაჩინეს

— 2 თებერვალი —

**მინესოტა 4:0 სენტ ლუისი**
*2:0 1:0 1:0*

1:0 უოლცი (5), 2:0 ჟოლტოკი (10), 3:0 დიუპუი (27), 4:0 უოლცი (44)

„სენტ ლუისს" რაღა დაემართა... სეზონის დასაწყისიდან დასავლეთის კონფერენციის სათავეში იყო და ისე ჩავარდა, საპლეიოფო ოთხეულიდანაც ამოვარდა. აბა, რა იქნება, როცა „ბლუზმენებს" ბოლო 7 მატჩიდან ერთადერთი ქულა შერჩათ და უკბილო „მინესოტასაც" კი დაეჩაგვრინენ. „მინესოტა" უკბილო მარტო გადატანითი მნიშვნელობით არ გეგონოთ... ბოლო შეხვედრაში „ველურებს" კბილები ჩაუმსხვრიეს და რაკი ამ მატჩში მათ სასიხარულო ბლომად ჰქონდათ, არაერთმა მინესოტელმა დაალო სიცილის დროს თავისი უკბილო პირი, მათ შორის იყო უოლციც, რომელმაც მეორე გოლი ბულიტით გაიტანა.

**რეინჯერსი 4:3 ვანკუვერი**
*1:1 2:0 1:2*

0:1 მორისონი (9), 1:1 იაგრი (11), 2:1 ჰოლიკი (32), 3:1 კოვალიოვი (40), 3:2 ნესლუნდი (43), 3:3 ბერტუცი (50), 4:3 ჰოლიკი (58)

სეზონის დაწყებიდან დღემდე ვერავინ ხსნის „რეინჯერსის" წარუმატებლობის საიდუმლო მიზეზს. წარმოუდგენელია, რატომ უნდა იმყოფებოდეს გუნდი ესოდენ სავალალო მდგომარეობაში, როცა მას შეუძლია, ასეთი ჰოკეი აჩვენოს. დასავლეთის ერთ-ერთ ბობოლა „ვანკუვერთან" საუცხოოდ ითამაშეს მასპინძლებმა და შედეგიც სახეზეა. გამუდმებული პრესინგის პირობებში „ვანკუვერის" კაპიტანი მარკუს ნესლუნდიც კი დაიბნა და სწორედ მისი შეცდომის შემდეგ გაიტანა „რეინჯერსმა" გადამწყვეტი გოლი. თუმც ვშიშობთ, ეს გამონაკლისია და ნიუიორკელები კვლავ ძველი გზით გაუტევენ.

**ფილადელფია 1:2 ტამპა**
*0:0 1:2 0:0*

1:0 ჰანდუში (23), 1:1 კუბინა (27), 1:2 ფედოტენკო (29)

„ტამპამ" ბრწყინვალედ ჩაატარა იანვრის მატჩები და პრაქტიკულად გაინაღდა პირველობა თავის დივიზიონში. ამ შეხვედრით კი უფრო გაიმყარა პოზიციები. იანვრის საუკეთესო შემტევმა მოთამაშემ მარტენ სან ლუიმ მორიგი პასის წყალობით ახალი თვეც წარმატებით დაიწყო.

**ფინიქსი 3:3 კოლუმბუსი**
*2:1 0:1 1:1 0:0*

1:0 ჰრდინა (2), 2:0 ნადი (7), 2:1 ერიკსონი (14), 2:2 ვიბორნი (22), 3:2 სილინჯერი (42), 3:3 ერიკსონი (54)

**ედმონტონი 2:1 ანაჰაიმი**
*1:1 0:0 0:0 1:0*

1:0 მორო (4), 1:1 ლუპული (15), 2:1 სტოლი (41)




აი ჯახი! ფილადელფიელმა დონალდ ბრაშერმა ტამპელი იასენ კულიმორი ბორტს მიასრისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პან პასიფიკის ქალები

დამთავრდა ავსტრალიის ღია პირველობა, ამას კი ტრადიციულად მოსდევს ტოკიოს ტურნირი — „პან პასიფიკი", რომელიც 3-დან 8 თებერვლამდე გასტანს. აი, მონაწილეთა პირველი და შთამბეჭდავი რიგი: მარინა შარაპოვა, დანიელა ჰანტუხოვა, ნადეჟდა პეტროვა, აი სუგიიამა და ვინუს უილიამსი.





# ის გამარჯვება

ჰოლივუდში ახალი სპორტული ფილმის პრემიერა გაიმართა და იქ, ცხადია, იყვნენ ვარსკვლავებიც: ვთქვათ, გოლდი ჰოუნი და კურტ რასელი, მაგრამ იმ საღამოს სხვა ვარსკვლავები უფრო ახსოვდათ, ჰოკეის ძველი მოთამაშეები. თვით უეინ გრეცკიზე მეტად დაეძებდნენ მის გვერდით მდგომ ჩასუქებულ კაცს, ასევე ჰოკეისტ მაიკ ირაზონს. სწორედ მაიკი იყო იმ დიადი ამერიკული ნაკრების წევრი, რომელმაც 1980 წელს რუსთა უძლეველ გუნდს ოლიმპიური ოქრო აართვა ლეიკ პლესიდში, ფილმიც ამ ისტორიას ეძღვნება, მწვრთნელ ჰერბ ბრუქსს და მისი გუნდის თავგადასავალს.



# ყატარის მხედრები

აი, ასეთი მზიანი და ეგზოტიკურია „ყატარის ველოტური", რომლის პირველი რბოლა ბარე 150 კილომეტრის სიგრძისა იყო და განთქმულ ქიმიურ ქარხნებსაც ჩაუქროლა უდაბნოში. ჰოლანდიელი სერჟაის კნავენი თეთრ ცხენთანაც იწონებდა თავს რბოლის წინ, თუმცა პირველი ეტაპი და ოქროს მაისურა „სონიე დუვალის" გუნდის ესპანელმა ფრანსისკო ვენტოსომ მოიგო და ლიდერის ოქროს მაისურაც მანვე მოირგო.






სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით ერაძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე, თენგიზ ფოფხაძე, ზურაბ წერეთელი, მირიან ხანიშვილი



რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge